პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 4 ივნისი, 1947 წ. № 111 (7895). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

საბჭოთა იდეოლოგია ჩვენი დროის მოწინავე იდეოლოგიაა—„პრავდის" 3/VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
დ. ზავრიევი—ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის „ახალი კურსი" (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
ზ. კიკნაძე — შევასრულებთ ბელადისათვის მიცემულ სიტყვას (მე-3 გვერდი).
მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველთა სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

# საბჭოთა იდეოლოგია ჩვენი დროის მოწინავე იდეოლოგიაა

მარქსიზმ-ლენინიზმი თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე, ნამდვილად მეცნიერული მსოფლმხედველობაა. „მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია,—ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი" (სტალინი). მარქსიზმის განვითარების ასწლიანი პერიოდი — ეს არის პერიოდი ბრძოლისა სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთებისათვის, პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა მასებში მოწინავე სოციალისტური იდეოლოგიის დანერგვისათვის, ეს არის პერიოდი შეურიგებელი ბრძოლისა ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმებთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში დაამხო ექსპლოატატორული კლასების ბატონობა, გადატრიალება მოახდინა არა მარტო ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის დარგში, არამედ მშრომელთა იდეოლოგიაშიც. მან შექმნა ყველა აუცილებელი პირობა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის იდეების ფართო გავრცელებისათვის მშრომელთა შორის, კომუნისტური აღზრდისათვის. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის გაბატონება ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა საზოგადოების პროგრესული განვითარების მძლავრი საშუალება გახდა.

საბჭოთა იდეოლოგია, ჩვენი სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი დიადი მონაპოვარი, იჭედებოდა ბრძოლაში ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის გამარჯვებისათვის, რამაც უზრუნველჰყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აგება.

თავისი თითქმის 30 წლის განვითარების მაგალითზე საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ხედავენ, თუ რაოდენ სასწაულმოქმედი და დიდია ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის როლი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნაში, მის გადაქცევაში მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, ჩვენში კულტურული რევოლუციის გაჩაღებაში. ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია.

საბჭოთა იდეოლოგიის უპირატესობა ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან შედარებით წარმოადგენს კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობის გამოხატულებას. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმის მხეცურ, კაცთმოძულე იდეოლოგიაზე.

დაე კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე იდეოლოგებმა ექსპლოატატორული კლასების საამებლად სცადონ გაამართლონ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულად დრომოჭმული ფორმები! ისინი უკან ვერ მიაბრუნებენ ისტორიის ჩარხს. მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგია ასახავს სწორად საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებას, მშრომელი მასების ძირითად საარსებო ინტერესებს. იგი ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ დამტკიცებულ ობიექტურ კანონს ძველზე, დრომოჭმულზე, რეაქციულზე ახლის, მოწინავის გარდუვალი გამარჯვების შესახებ. საბჭოთა ადამიანების იდეოლოგია, ყველა სხვა მსოფლმხედველობაზე უფრო პროგრესული, ისწრაფვის წინ. და ამაშია მისი უდიდესი მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალა. „...დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზნისათვის წარმოიშობა" (სტალინი).

საბჭოთა იდეოლოგია გახდა ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი წყარო, ვინაიდან იგი წარმართავს ხალხთა მასების შემოქმედებითს საქმიანობას, მასებისა, რომლებიც ჰქმნიან კომუნისტურ საზოგადოებას. ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეები რაზმავენ, აღვიძებენ, ავითარებენ მილიონობით ადამიანის შემოქმედებას, ნიჭი, რომელსაც კაპიტალიზმი ახშობდა, სთელავდა, საბჭოთა საზოგადოების პირობებში უსაზღვრო განვითარების შესაძლებლობას იღებს. აქედან გამომდინარეობს სტახანოვური მოძრაობის უდიდესი მასშტაბი, ტექნიკის ნოვატორთა დიადი მოძრაობა, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სწრაფი ტემპი, მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის დაუცხრომელი ენერგია ბრძოლაში ომისშემდგომი სიძნელეების დაძლევისათვის, ახალი სტალინური ხუთწლედის გამარჯვებისათვის, ჩვენი სამშობლოს მძლავრი აყვავებისათვის.

საბჭოთა სინამდვილემ მთლიანად დაადასტურა ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები იმის შესახებ, რომ „ადამიანთა ისტორიული შემოქმედების განვითარებასა და გაღრმავებასთან ერთად უნდა გაიზარდოს მოსახლეობის იმ მასის ოდენობაც, რომელიც შეგნებული, ისტორიული მოღვაწეა". სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანები, რომელთაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, გახდნენ ისტორიის შეგნებული შემოქმედნი, ისტორიული განვითარების ტემპი გაათკეცდა, ხალხის შემოქმედება პირველად ისტორიაში ხმარდება თვით მრავალმილიონიანი მშრომელი მასების კეთილდღეობას.

საბჭოთა კავშირში, იმ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა საფუძველზე, რაც მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს, დაახლოვდა და ერთ მთლიანობად გაერთიანდა ორი დიდი ძალა: ხალხი და კომუნიზმი. საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში პირველად სახელმწიფოში გაბატონებული იდეოლოგიის მატარებლად გახდა 200 მილიონიანი საბჭოთა ხალხი, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში დაამყარა სოციალისტური წყობილება. ჩვენი იდეოლოგია არის იდეოლოგია ქალაქისა და სოფლის თავისუფალი მშრომელებისა — მუშათა კლასისა, გლეხობისა და ინტელიგენციისა, რომელნიც მჭიდრო თანამეგობრობით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს და გამდიდრებას, მოგების გამოკიდებას საბჭოთა იდეოლოგია უპირისპირებს ამხანაგურ თანამშრომლობას, პირადისა და საზოგადოებრივის ჰარმონიას, საბჭოთა პატრიოტიზმის წმიდა იდეებს, თავისი ხალხისათვის უანგარო სამსახურს.

საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრდა მთელი ხალხის სრული მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. საბჭოთა იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს რასებისა და ერების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანასწორუფლებიანობის, ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური და დიადი იდეები. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმის წმიდა იდეები და ხალხთა მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალებია. ამ ძალებმა თავი იჩინეს ომში, თავი იჩინეს უმაღლესი საბჭოების არჩევნებზე კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დიდ გამარჯვებაში: ეს ძალები თავს იჩენს ყოველ დღე და ყოველ საათს შემოქმედებითს შრომაში ქარხნებში და მინდვრებზე, მთლიანად საბჭოთა კავშირის და ცალცალკე თვითეული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ძლიერების ზრდაში.

საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობა, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენში უკვე ბოლომდე აღმოფხვრილია ძველი, ინდივიდუალისტური, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები. არა, ისინი ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩამორჩენილ ადამიანებში. ეს ნაშთები თავისთავად არ გაქრება. მშრომელთა მასებში საბჭოთა იდეოლოგიის დანერგვა იყო და რჩება პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ისინი ვალდებული არიან ყოველდღიურად აწარმოონ დაუღალავი ბრძოლა ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, საბჭოთა მოქალაქეების რიგებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეპარვის წინააღმდეგ. სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბება, ლენინ-სტალინის დიადი იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, თავისი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის და მისი დიადი საქმეებისათვის სიამაყის სულისკვეთებით მთელი ხალხის აღზრდა — კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია.

ამხანაგმა სტალინმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიური მუშაკების კადრების წინაშე დასახეს უდიდესი ამოცანები. მასებზე იდეოლოგიური გავლენის ყველა საშუალება,—პრესა, რადიო, კინო, ლიტერატურა, თეატრი და სხვ. — გამოყენებულ უნდა იქნას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა პარტიული კადრების, საბჭოთა ინტელიგენციის იდეური დონის ამაღლება, მშრომელთა შორის მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ფართო პროპაგანდა.

ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, ჩვენს ახალგაზრდობას რომ მიმართავდა, ამბობდა:

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება და მუშაობა ჩვენი მასწავლებლებისა და ბელადებისაგან — ლენინისა და სტალინისაგან, რომელთაც უნარი აქვთ არა მარტო ყველაზე უკეთ გაიგონ და სწორად გამოხატონ საზოგადოებრივი განვითარების მომწიფებული საჭიროებანი, არამედ ყველაზე უკეთ და ასევე სწორად დააკმაყოფილონ ეს საჭიროებანი.

იცხოვრო დიდი, იდეური ცხოვრებით — ნიშნავს იცხოვრო შენი დროის ყველაზე მოწინავე და უაღრესად პროგრესული კლასების საზოგადოებრივი ინტერესებით, ხოლო ამჟამად — საბჭოთა ხალხის, სოციალისტური სამშობლოს ინტერესებით. თუ თქვენ ასეთი ინტერესებით იცხოვრებთ, თუ მთელი თქვენი აზრები მიმართული იქნება იქითკენ, რომ კიდევ უფრო მეტად განადიდოთ თქვენი ხალხი, კიდევ უფრო გააძლიეროთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო სიმძლავრე, თუ თქვენ მთელ თქვენს ძალებს მოახმართ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლას, და ეს დიადი იდეა თქვენს შეგნებაში მთავარი იქნება, ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ნამდვილად დიდ ცხოვრებას გაივლით".

ჩვენს დროში არაფერია იმაზე კეთილშობილური და მაღალი, ვიდრე იმუშაო ხალხის საკეთილდღეოდ, განავითარო და განამტკიცო მისი კომუნისტური შეგნება, გაამდიდრო იგი ლენინ-სტალინის უკვდავი იდეებით, რომლებიც საბჭოთა ხალხს გზას უნათებს კომუნიზმისაკენ.

„პრავდის" 3/VI მოწინავე.



მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხანაში დაიწყო „მოსკვიჩის" მარკის სამგზავრო ავტომანქანების გამოშვება. სურათზე: მცირელიტრაჟიანი ოთხადგილიანი სამგზავრო ავტომობილი „მოსკვიჩი". მანქანას აქვს ლითონის მთლიანი ძარა და საბარგო განყოფილება, 23 ცხენძალის სიმძლავრის ძრავა, ჰიდრავლიკური მუხრუჭი. 100 კილომეტრზე ავტომობილი ხარჯავს 8 ლიტრ საწვავს, გზატკეცილზე მისი მაქსიმალური სისწრაფეა 90 კილომეტრი საათში.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

## მე-3 ხუთწლედის სესხის ტირაჟები

5 ივნისს მოსკოვში შესდგება მე-3 ხუთწლედის — პირველი და მეორე წლის გამოშვებათა — სესხის მოგებათა ორი ტირაჟი.

პირველ ტირაჟში გათამაშებულ იქნება 76.988.100 მანეთის 457.500 მოგება, მათ შორის 61 მოგება სამ-სამი ათასი მანეთისა. მე-3 ხუთწლედის (მეორე გამოშვება) სესხის ტირაჟში გათამაშებულ იქნება 89.325.400 მანეთის 540.200 მოგება, მათ შორის 74 მოგება სამ-სამი ათასი მანეთისა. (საკდესი).

## მუშაობა კინო-ფილმზე „სტალინგრადის ბრძოლა"

### („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვიდან სტალინგრადის რაიონში მიემგზავრება „მოსფილმის" სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც მუშაობს კინოსურათზე — „სტალინგრადის ბრძოლა". ეს იქნება მხატვრულ-დოკუმენტალური კინომოთხრობა სამამულო ომის უდიდეს ბრძოლაზე სტალინგრადთან, გამარჯვებათა ორგანიზატორ დიდ სტალინზე, მის თანამებრძოლებზე — ამ გრანდიოზული საომარი ოპერაციების ხელმძღვანელებსა და მონაწილეებზე.

სცენარის ავტორია მწერალი ნიკოლოზ ვირტა. ფილმს სდგამს ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი ვლადიმერ პეტროვი. ფილმის მთავარი მხატვარია ლ. მამალაძე, რომელმაც დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. მან გააკეთა დეკორაციების მრავალი ესკიზი, რისთვისაც იღებდა კონსულტაციას სტალინგრადის ბრძოლების მონაწილეებისაგან.

## ხუთი ათასი ცისტერნი

**მარიუპოლი,** 1 ივნისი. (საკდესი). მარიუპოლის ილიჩის სახელობის ქარხანამ, რომელმაც ომის შემდეგ პირველად აითვისა სარკინიგზო ვაგონ-ცისტერნების გამოშვება, მეხუთეათასე ცისტერნი გამოუშვა.

ქარხნის კოლექტივი ემზადება მძლავრი ოთხღერძიანი სარკინიგზო ცისტერნების მასობრივი წარმოებისათვის. ახალი ნიმუშის პირველი ცისტერნი გამოშვებულ იქნება ივლისის დამდეგს.

## ინრრას უკრაინის მისიის მეთაური ბ-ნი პ. უაიტი ლვოვში

**ლვოვი,** 2 ივნისი. (საკდესი). აქ ორი დღე დაჰყვეს ინრრას უკრაინის მისიის მეთაურმა დოქტორმა პ. უაიტმა მეუღლითურთ და მისიის წევრმა ტერეშჩენკომ. მათთან ერთად ჩამოსული იყო უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ინრრას მიწოდებათა სამმართველოს უფროსი ვ. ვ. ხომიაკი.

ლვოვში სტუმრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ნახეს, თუ რა ნგრევა მოახდინეს გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა ლვოვში.

საოლქო საგეგმო კომისიის წარმომადგენელ ამხ. შემეტუნთან საუბარში ბ-ნ პ. უაიტს აინტერესებდა, თუ როგორ მოდის ლვოვში ინრრას საქონელი, როგორ ანაწილებენ მას და როგორ მიმდინარეობს ოლქის სახალხო მეურნეობის აღდგენა.

დღეს სტუმრები უჟგოროდს გაემგზავრნენ.

## 5 წლიური ნორმა 16 თვეში

### მიხეილ დარმასიუკის ახალი წარმატება

**ვოროშილოვსკი,** 27 მაისი. (საკდესი). სანგრევი ურის დონეცელ ოსტატთა შეჯიბრებაში „ვოროშილოვუგოლის" ტრესტის სტალინის სახელობის შახტმმართველობის მნგრეველმა მ. დარმასიუკმა ვადამდე შეასრულა თავისი სოციალისტური ვალდებულება — მიეცა ჩვენი ქვეყნისათვის 5 წლიური ნორმა ოქტომბრის 30-ე წლისთავზე.

დარმასიუკმა ომისშემდგომი ხუთწლედის 16 თვეში 5 წლიური დავალება გამოიმუშავა. დარმასიუკმა გადაწყვიტა ოქტომბრის 30-ე წლისთავისათვის კიდევ შეასრულოს ორი წლიური ნორმა.

### დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად

## ძაფსართავი ფაბრიკა აღმავლობის გზაზე

მუდამ საყვედურობდნენ ფეიქრები თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის სუსტი მუშაობის გამო—ვერ გვამარაგებს ბამბის ნართით, გვაბრკოლებს გეგმების შესრულებაშიო. ახლა ასეთი საყვედურები აღარ ისმის. ძაფსართავი ფაბრიკის კოლექტივმა უკეთესად იწყო მუშაობა, იგი მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას.

23 მაისს ფაბრიკის კოლექტივმა ხუთი თვის საწარმოო დავალება შეასრულა. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავის შესახვედრად გაჩაღებულ შეჯიბრებაში მოწინავეთა შორის სულ ახალ-ახალი ადამიანები დგებიან. უკვე კარგახანია, რაც პირველად ამ ფაბრიკის არსებობის მთელ მანძილზე დაიწყეს ერთდროულად 4 სავატერო დანადგარის მომსახურება მრთველებმა ვ. ტრუბნიკოვამ, გ. როდკინამ და პ. ბოკოვამ. თვითეული მათგანი ახლა 1.312 თითისტარს ამუშავებს შეუფერხებლად. მათი გამოცდილება ფართოდ ინერგება ფაბრიკაში.

ივნისის პირველ დღეებში ფაბრიკა გეგმის შესრულების კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს, ვიდრე მაისში. ფაბრიკის კოლექტივმა აპრილში მაღალნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოში მეორე ადგილი მოიპოვა და 15 ათასი მანეთი პრემია მიიღო. ამით აღფრთოვანებული მრთველები ახლა პირველი ადგილისათვის იბრძვიან.

ე. კაკიაშვილი

## ქარხანა „დაზგამ" ნახევარი წლის გეგმა შეასრულა

ქარხანა „დაზგას" მტკიცედ დარაზმული და დაუღალავ შრომას შეჩვეული კოლექტივი ჰყავს. ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად დაზგათმშენებლებმა პასუხსაგებ საწარმოო დავალებათა შესრულება იკისრეს. მათ დაივალეს წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ და, როგორც განვლილი 5 თვის შედეგები მოწმობენ, ამ ვალდებულებას კიდეც გაანაღდებენ.

1 ივნისისათვის ქარხანა „დაზგის" კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. 6 თვეში, ე. ი. 1 ივლისისათვის სახელმწიფო გეგმის მიხედვით დაზგათმშენებლებს უნდა მოეცათ 853.000 მანეთის სასაქონლო პროდუქცია. ნაცვლად ამისა, 5 თვეში მათ მოგვცეს 935.000 მანეთის პროდუქცია, რაც ნახევარი წლის დავალების 109,7 პროცენტს შეადგენს. 1 ივლისისათვის ქარხანას უნდა გამოეშვა 80 ცალი დაზგა, ფაქტიურად 5 თვეში გამოუშვა 88 დაზგა, ე. ი. ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 110 პროცენტით.

ამრიგად, ქარხანა „დაზგას" კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრძოლის განვლილ 5 თვეში უკვე მოიგო ერთი თვე.

დ. ამირანიძე

## ახალციხელი მეშახტეები დაწინაურდნენ

ახალციხელი მეშახტეები მაისის პირველი რიცხვებიდან სტახანოვური განრიგით მუშაობენ, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას და გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. ახლა მეშახტეები ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებენ. მაისის გეგმა მათ 21 რიცხვისათვის 113 პროცენტით გაანაღდეს.

მაისში მოპოვებული წარმატების მიუხედავად, ახალციხის ქვანახშირის შახტის ყველა უბანი როდი ანაღდებს დავალებას. განსაკუთრებით ჩამორჩება პირველი საექსპლოატაციო უბანი, რომელიც დავალებას მხოლოდ 75 პროცენტით ასრულებს. ჩამორჩება სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმის შესრულებაც.

ახალციხელმა მეშახტეებმა კიდევ უფრო მეტი ენერგიით უნდა იბრძოლონ ლენინგრადელთა მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## 2.118 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული 24 საწარმოდან 22 საწარმომ წარმატებით შეასრულა 5 თვის დავალება. ამ საწარმოებმა გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 2,118 ათასი მანეთის პროდუქცია. ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 37.700 წყვილი ფეხსაცმელი, 74 ტონა საძირე ტყავი, 901 ათასი კვადრატული დეციმეტრი საპირე ტყავი, 1.158 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 360 ათასი მანეთის საგალანტერიო ნაწარმი და 15 ტონა პლასტრეზინი.

ხუთი თვის დავალება 108 პროცენტით შეასრულეს სამკერვალო ფაბრიკებმა, 114,5 პროცენტით ტყავის ქარხნებმა, 107,5 პროცენტით ფეხსაცმლის ფაბრიკებმა.

მაისის გეგმა 127,3 პროცენტით გაანაღდა თბილისის ტყავის პირველმა ქარხანამ (დირექტორი გ. ხაზარაძე), 122 პროცენტით—ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ (დირექტორი ს. პარტოსიანი), 132,6 პროცენტით—ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ (დირექტორი ი. სიხარულიძე), 116,7 პროცენტით — პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი გ. გაბუნია), 112,7 პროცენტით—მე-6 სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი ს. ვაშაძე), 110 პროცენტით —მეორე სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი ჩადრანოვი).

ხუთი თვის დავალება ვერ შეასრულეს თბილისის მე-7 სამკერვალო და ფეხსაცმლის მე-2 ფაბრიკებმა, ხოლო მაისში ჩამორჩა ქუთაისის შუშის ქარხანაც.

## მ. ი. კალინინის ხსოვნისათვის

### მემორიალური დაფები იმ შენობათა ფასადებზე, სადაც მ. ი. კალინინი გამოდიოდა

მოსკოვის ოლქის ქალაქებსა და სოფლებში ბევრი ადგილია მ. ი. კალინინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული. ეგორიევსკში დაზგათმშენებელი ტექნიკუმის შენობაში 1925 წლის 29 მარტს მ. ი. კალინინი გამოვიდა საბჭოების მე-12 სამაზრო ყრილობაზე. ნოგინსკის რაიონის მშრომელებს კარგად ახსოვთ მიხეილ ივანეს-ძესთან შეხვედრები. 1924 წლის 7 იანვარს ნოგინსკის საქალაქო თეატრში მ. ი. კალინინმა მუშათა და გლეხთა კრებაზე გააკეთა მოხსენება სოფლად მუშაობისა და გლეხის სახლის ამოცანების შესახებ. შემდეგ წელს იგი გამოვიდა ნოგინსკში მუშათა მიტინგზე. 1919 წლის 31 აგვისტოს მ. ი. კალინინმა სიტყვა წარმოსთქვა სერპუხოვის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრებაზე.

დიდი სამამულო ომის დროს მ. ი. კალინინი დაიარებოდა კლინში, მოქმედი არმიის ნაწილებში. აქ 1942 წლის 14 იანვარს ერთ-ერთ მუშათა კლუბში იგი გამოვიდა პირველი დამკვრელი არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების წინაშე.

ამ შენობათა ფასადებზე გაკეთდება მემორიალური დაფები.

მემორიალური დაფები კეთდება აგრეთვე სერპუხოვში ფაბრიკა „კრასნიე ტექსტილშჩიკის" № 2 საერთო საცხოვრებლის შენობაზე, სოფელ იაროპოლეცში სოფლის საბჭოს შენობაზე, კაშირაში № 1 სკოლის შენობაზე, სობოლევო-შჩელკოვსკის კომბინატის კლუბის შენობაზე შჩელკოვში, ისტრის რაიონის სადგურ სნეგირზე, საბჭოთა მეურნეობის დირექციის შენობაზე და სხვა ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია მ. ი. კალინინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. (საკდესი).

## ლაინერ „როსიას" წარმატებითი რეისი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ოდესიდან ნიუ-იორკისაკენ გაემგზავრა ლაინერი „როსია". „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტი რადიოთი დაუკავშირდა ლაინერის კაპიტანს ე. შ. გოგიტიძეს. კაპიტანი იტყობინება:

— ჩვენი რეისი მიმდინარეობს წარმატებით. გემზე 520 მგზავრია. მათს განკარგულებაშია მყუდრო, კომფორტაბელური კაიუტები, სალონები, სასეირნო გემბანი, რესტორანი, ბარი, კინო. საღამოობით უჩვენებენ საუკეთესო საბჭოთა ფილმებს. ჩვენმა გემმა გზად შეიარა ჰაიფასა და ნეაპოლში. გემის პოპულარობა იმდენად დიდია, რომ მგზავრობის მსურველები მეტია, ვიდრე ადგილები.

ნეაპოლში მგზავრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს და დაათვალიერეს პომპეის ნანგრევები.

მალე დიზელელექტრომავალი „როსია" შევა გუძონის შესართავში და ჩაუშვებს ღუზას ნიუ-იორკის ნავსადგურში.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 4 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

2. გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ყველა ტყე, რომელიც იმყოფება სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში იმ ტყეების გამოკლებით, რომლებიც გადაეცათ კოლმეურნეობებს მიწის უვადო სარგებლობის აქტებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1947 წ. 3 ივნისი, ქ. თბილისი.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. მ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მაკარ ივანეს-ძე ჯაში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1947 წ. 3 ივნისი, ქ. თბილისი.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

# ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის „ახალი კურსი“

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის „ახალი კურსი“ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში წარმოების არაჩვეულებრივად ზრდის შედეგია. თუ სამრეწველო წარმოების მოცულობას 1939 წელს 100-ად მივიღებთ, 1945 წელს იგი 186-ს უდრიდა. მეორე მსოფლიო ომმა გააძლიერა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. დიდ საწარმოებში, სადაც 10 ათასი და მეტი მუშაა, 1944 წელს ითვლებოდა დამამუშავებელი მრეწველობის ყველა მუშის 30 პროცენტი, ნაცვლად 1939 წლის 13 პროცენტისა. ომის წლებში გაძლიერდა მონოპოლიების ზრდა და კონცერნების შეერთება ან ერთი კონცერნის მიერ სხვათა შთანთქმა. 1940-დან 1945 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალოდ ყოველწლიურად გაერთიანებულ ან შთანთქმულ იქნა ერთნახევარჯერ მეტი კონცერნი, ვიდრე 1933-დან 1939 წლამდე. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ მთელი შეერთებული შტატების ეკონომიურ ძლიერებას 60 ოჯახის ხელში მოუყარა თავი. ეს 60 ოჯახია თანამედროვე ამერიკის მმართველი. მაგალითად, ჯ. მორგანისა და კომპანიის ტრესტი ამერიკის შეერთებულ შტატებში კონტროლს უწევს 35 ბანკისა და დამზღვევი კომპანიების და 60 კორპორაციის 77 მილიარდ დოლარ კაპიტალს. თვითეული ამ 60 ოჯახის ქონება სულ მცირე 30 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ ოჯახების შემოსავალი ასტრონომიული ციფრებით გამოიხატება. მაგალითად, როკფელერის შემოსავალი წელიწადში 30-35 მილიონ დოლარს უდრის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელი მაგნატები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ომიანობის წლების დონეზე შეინარჩუნონ თავიანთი შემოსავალი. ამას ხელს უწყობენ სამხედრო ხასიათის საშინაო დაკვეთები, რაც გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ის, რომ მსოფლიო ბაზრებზე ამერიკას კონკურენციას აღარ უწევენ გერმანია და იაპონია. მაგრამ ამერიკელი კაპიტალისტების მადას ეს ვერ აკმაყოფილებს. ისინი უდიდეს შემოსავალს იღებენ მასობრივი მოხმარების საგნებისა და სურსათის ფასების გადიდებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1946 წლის ივლისში გაუქმდა ფასების კონტროლი. 1946 წლის ნოემბერში სურსათის საცალო ფასები თითქმის ერთნახევარჯერ აღემატებოდა 1929 წლის ივნისის ფასებს. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ მოხსენებაში მობილიზაციისა და რეკონსტრუქციის სამმართველოს დირექტორმა სტილმენმა განაცხადა, რომ ფასების შემდგომ სწრაფ გადიდებას შეუძლია შეზღუდოს მოთხოვნა, დაარღვიოს საქმიანი ცხოვრება და, დასასრულ, გამოიწვიოს ფასების კატასტროფული დაწევა, რასაც მოჰყვება სერიოზული ეკონომიური და სოციალური შედეგები.

ეკონომიური კრიზისის პრობლემა დიდად აწუხებს ამერიკის საქმიან წრეებს. ამხანაგ სტალინთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის მოღვაწე ჰაროლდ სტასენი იმაზე ამყარებდა იმედს, რომ „თუ მთავრობამ ბრძნული პოლიტიკა აწარმოა და გათვალისწინებულ იქნა 1929-30 წლების გაკვეთილები, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონდება რეგულირებული და არა მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რაც შესაძლებელს გახდის კრიზისისათვის თავის დაღწევას“. ამის გამო ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, რომ „ამისათვის საჭიროა დიდი სიმტკიცით გამსჭვალული მეტად ძლიერი მთავრობა“. როგორც თვითონ ტრუმენმა აღიარა, სწორედ ეს პირობა აკლიათ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ტრუმენმა პრეს-კონფერენციაზე სთქვა, რომ ეკონომიური კრიზისი გარდუვალი არ არის, თუ არსებობს საღი აზრი და თუ ხარბ ადამიანებს ნება არ მიეცემათ კონტროლი დაამყარონ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტრუმენმა სთქვა, რომ იგი ცდილობდა თავიდან აეცდინა როგორც ბუმი, ისე ეკონომიური კრიზისი, მაგრამ საკმაო მხარდაჭერა ვერ მიიღო საკანონმდებლო ორგანოებისა და საზოგადოებრივი აზრის მხრივ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკელი მაგნატები უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ და არ მოისურვეს რეგულირებული ყოფილიყვნენ და შეზღუდვა განეცადათ. დადასტურდა ამხანაგ სტალინის შენიშვნა სტასენთან საუბარში, რომ საქმის ხალხი რეგულირებისა და შეზღუდვათა წინააღმდეგ წავა.

ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლოვდება ეკონომიური კრიზისი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ინდექსის თანახმად, ნიუ-იორკის ბირჟაზე აქციების კურსი ამა წლის 16 მაისს დაეცა ყველაზე დაბალ დონეზე ამ ორი წლის განმავლობაში. ეკონომიურ კრიზისს აშკარად წინასწარმეტყველებს მრავალი ამერიკელი და ინგლისელი მოღვაწე.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის „ახალი კურსის“ მამოძრავებელი ძალებია ბაზრების ძებნა ამერიკის მრეწველობისათვის, რომელიც ომის დროს გაიზარდა. ამ უკანასკნელ ხანს ამერიკულ ლიტერატურაში ბევრსა სწერენ პლანეტა მარსის დაპყრობაზე. აქ იმდენად შეუკავებელი ფანტაზიის ელემენტები როდია, რამდენადაც ასახულია ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის რეალური სიძნელეები. აქედანვე გამომდინარეობს ამერიკის მონოპოლისტური წრეების ბოდვითი, მაგრამ საშიში იდეები, რომ თითქოს „მეოცე საუკუნე არის ამერიკის საუკუნე“, „ამერიკის მსოფლიო ბატონობის საუკუნე“, „მთელი მსოფლიოსადმი ამერიკის მორალური ხელმძღვანელობის საუკუნე“.

ამერიკელ საფინანსო მაგნატთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში ეკონომიური ძლიერების კონცენტრაციამ გამოიწვია რეაქციის გაძლიერება შეერთებულ შტატებში და იმპერიალისტური ექსპანსია მათ გარეთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში იცემა ანტიმუშური კანონები და ამერიკის რეაქცია უტევს საერთაშორისო დემოკრატიის ძალებს. ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი უოლესი ბრალად სდებდა ამერიკის მთავრობას, რომ იგი „პოლიტიკურ თამაშს ეწევა გადატაკებულ ევროპასთან“, სთავაზობს რა საფრანგეთს დახმარებას იმ პირობით, რომ საფრანგეთის მთავრობამ „განაგრძოს თავისი საქმიანობა ფრანგი კომუნისტების გარეშე“. უოლესმა, შეეხო რა აჩესონის გამოსვლას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაგრძონ ომის დროს არსებული კონტროლი ექსპორტისა, რათა ხელი შეუშალონ აღმოსავლეთ ევროპას მიიღოს ამერიკის სურსათი და მასალა რეკონსტრუქციისათვისო, განაცხადა: „ეს არის ყველაზე სასტიკი სახის ომი—ომი ხალხის საჭიროებათა წინააღმდეგ“. ამასვე აცხადებს გაზეთი „დეილი უორკერი“: „შეერთებული შტატები ცალმხრივად სწყვეტენ დიდ სახელმწიფოთა ყველა ურთიერთობას როგორც ევროპაში, ისე აზიაში, და პოლიტიკურსა და ეკონომიურ ომს აცხადებენ ყოველი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მათ არ მოსწონთ ან საბჭოთა კავშირისადმი ერთობ მეგობრულად განწყობილად მიაჩნიათ“.

ამერიკის შეერთებული შტატების მეთოდები მსოფლიოს ცალკე ქვეყნებში თავისი ბატონობის დასამყარებლად ორიგინალობით არ გამოირჩევიან. ეს არის ეგრეთწოდებული „რიგული“ ქვეყნების მომარაგება სამხედრო მასალით და სესხის მიცემა მისი ხარჯვისადმი კონტროლით, რომ აღარა ვთქვათ რა სამხედრო ბაზების აგებისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა სია „ლენდ-ლიზისაგან“ დარჩენილი მასალებისა, რომლებიც ზოგიერთ სახელმწიფოს გადაეცა. ამ სიიდან სჩანს, რომ საჭურვლისა და საომარი მასალის მნიშვნელოვანი რაოდენობა გადაეცათ საბერძნეთს, თურქეთს, პორტუგალიას, ბელგიას, კოლუმბიას, საფრანგეთს, გვატემალას, ჰოლანდიას, ფილიპინებს, ურუგვაის, შვეციას, არგენტინას, ბრაზილიას, მექსიკას, ვენესუელას, ინგლისსა და ავსტრალიას. როგორც ოვერსის ნიუსის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამჟამად იხილავს კიდევ 16 მილიარდი დოლარის ნამეტი სამხედრო მასალის მთელ რიგ ქვეყნებში იმავე მიზნით გამოყენების საკითხს, რომელსაც ტრუმენის კანონპროექტი ითვალისწინებს საბერძნეთსა და თურქეთში. ამავე დროს ამერიკაში იხილავენ საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, კორეის, ჩინეთის, აგრეთვე გერმანიისა და იაპონიისათვის კრედიტის მიცემის საკითხს. განზრახულია იაპონიას მიეცეს 1 მილიარდი დოლარი სესხი უახლოესი ხუთი წლით. გერმანიისათვის ასეთივე თანხის სესხის მიცემის რჩევას იძლევა ცნობილი რეაქციონერი ჰუვერი, რომელიც ტრუმენმა გერმანიაში გაგზავნა გერმანიის ეკონომიკის შესასწავლად. ამასთან ჰუვერი წინადადებას იძლევა, რომ გერმანიამ ჯერ დააბრუნოს სესხი, ხოლო შემდეგ დაიწყოს რეპარაციების გადახდა.

საფრანგეთისათვის ამერიკის სესხის მიცემას ამერიკისა და საფრანგეთის რეაქცია მუდამ იყენებდა რეფერენდუმებისა და საარჩევნო კამპანიათა დროს ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოსახდენად. ასე მიიღო ამერიკისაგან სესხი დე გოლმა პირველი საყოველთაო არჩევნების წინ 1945 წელს, ბლიუმმა 1946 წლის ივნისის არჩევნების წინ და რამადიემ მისი მთავრობის „რეორგანიზაციისთანავე“, რაც გამოიხატა კომუნისტების გარეშე მთავრობის შექმნით.

რამადიეს მთავრობის „რეორგანიზაციის“ მსგავსად იტალიის მთავრობის „რეორგანიზაციისათვის“ ამერიკელები აპირებენ სესხი მისცენ იტალიას. ამერიკის ელჩმა იტალიაში ჯეიმს დანმა ნეაპოლის სავაჭრო პალატაში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „ახალი იტალიის შექმნა ბევრად არის დამოკიდებული იტალიის საქმიან ადამიანებზე, რომლებიც ამერიკელ ბანკირთა მხრივ თანამშრომლობისადმი მხურვალე მისწრაფებას ჰპოვებენო“.

ავსტრიისათვის 60 მილიონ დოლარ სესხს მოითხოვენ ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის უმაღლესი წრეები ვენაში, ამასთან მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს „ამერიკის პოლიტიკის ჩაშლა“ ავსტრიაში.

განზრახულია ჩინეთში გომინდანის მთავრობას, წინათ მიცემულ 4 მილიარდ დოლარის გარდა, მიეცეს 500 მილიონი დოლარი ახალი სესხი, რაც გომინდანის მთავრობას სახალხო დემოკრატიული არმიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სჭირდება.

სიდნეის გაზეთი „სანდი სანი“ სტატიაში ამერიკის პოლიტიკის შესახებ იაპონიაში აღნიშნავს: ეს პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქვეყანა გადააქციონ პროტექტორატად, დაამყარონ კონტროლი ხალხისა და მრეწველობისადმი და გახადონ იგი ბუფერულ სახელმწიფოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მშვიდობიან დროს და დაქირავებულ აგენტად, თუ ომი ატყდა.

ამერიკის სესხი გერმანიისათვის დაკავშირებულია ამერიკის გავლენის დამყარებასთან გერმანიის ეკონომიკაზე და ანგლოსაქსური ბლოკის—ევროპის შეერთებული შტატების შექმნაზე.

ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ როგორც მათს სტრატეგიულ მდგომარეობასთან, ისე მათს ნავთის საბადოებთან დაკავშირებით. გარდა ამერიკის „დახმარებისა“ მონარქისტული საბერძნეთისა და ტირანული თურქეთისათვის, მოელიან, რომ ამერიკა 30 მილიონ დოლარ სესხს მისცემს ირანს „შინაწესრიგის დასაცავად“. ირანს მიეცემა მსუბუქი ტანკები, გამანადგურებელი თვითმფრინავები და სასროლი იარაღი.

ამერიკის მიერ ეგვიპტისათვის 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი სესხის მიცემას იხილავენ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლქვეშ სუეცის არაპირდაპირი გადაცემის შესაძლებლობას.

ამავე დროს ამერიკელები ისწრაფვიან ინდოეთისადმი საფინანსო კონტროლისაკენ. გაზეთ „კაშმირ ტაიმსის“ ცნობით, ამერიკის ახალი ელჩი ჰენრი გრეიდი ამ მიზნით მიემგზავრება ინდოეთს. ამის მიხედვით ფრიად სიმპტომატურია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობა, რომ ტრუმენმა აღიარა ნეპალის (ინგლისის ვასალური სამეფო ინდოეთსა და ტიბეტს შუა) დამოუკიდებლობა და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნეპალს შორის ხელმოწერილია შეთანხმება „მეგობრობისა და ვაჭრობის“ შესახებ.

იმ სურათის სისრულისათვის, რომელიც ასახავს ამერიკის პოლიტიკის „ახალ კურსს“, უნდა გავიხსენოთ ამერიკის სამხედრო ბაზები წყნარ ოკეანეში, ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა ზღვასა და შორეულ ჩრდილოეთში, სადაც ამერიკის აეროდრომთა ქსელით მოფენილია ისლანდია, გრენლანდია, კანადა, ალასკა და ალეუტის კუნძულები.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მონოპოლისტური წრეების მზარდ მადას ხელს უშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აშკარად მჟღავნდება ტენდენციები უშიშროების საბჭოს რეორგანიზაციისადმი. მოითხოვენ „ვეტოს უფლების“ მოსპობას იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება აგრესიას ან აგრესიის მომზადებას.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური წრეების პოლიტიკას მკვეთრად ჰგმობს მოსახლეობის პროგრესული ნაწილი. ასიათასობით ამერიკელი მუშა აწყობს დემონსტრაციებს ანტიმუშური კანონებისა და საბერძნეთისა და თურქეთისათვის „დახმარების“ წინააღმდეგ. ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ილაშქრებენ ამერიკის გამოჩენილი მოღვაწენი უოლესი, ტეილორი, პეპერი, ელიოტ რუზველტი და სხვანი. უოლესის რწმენით „რუსეთისადმი სიძულვილით დაბრმავებული ამერიკელი რეაქციონერები ისე მოქმედებენ, რომ მთელი მსოფლიო ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ერთიანდება“.

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ ჯგუფს ეხმაურება პოლიტიკური მისწრაფება ლეიბორისტული პარტიის შუალედი ჯგუფისა, რომელსაც სათავეში უდგას ჰაროლდ ლასკი. ეს ჯგუფი გამოდის ორთა თანამშრომლობის—ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის წინააღმდეგ, სადაც ინგლისს უმცროსი პარტნიორის ადგილი უკავია, და მხარს უჭერს სამთა თანამშრომლობას — ინგლისის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობას. როგორც ცნობილია, ლასკის ჯგუფმა მოაწყო უოლესის სალექციო მოგზაურობა ინგლისში. ამ მოგზაურობის დროს უოლესს მიართვეს სამადლობელი ადრესი, რასაც ხელს აწერს თემთა პალატისა და ლორდთა პალატის 110 დეპუტატი. უოლესის სიტყვით, ინგლისში მან ჰპოვა მხოლოდ ერთი ჯგუფი, რომელიც მზად არის დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის „ახალი კურსი“—ეს არის უკიდურესი მემარჯვენე ფრთა ჩერჩილის ხელმძღვანელობით.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური წრეების რეაქციულ პოლიტიკას სასტიკად გმობენ თავისუფლებისმოყვარე ხალხები, რომელნიც საბჭოთა კავშირის მეთაურობით იბრძვიან ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ჩინელი ხალხის ბრძოლა გომინდანის რეაქციის წინააღმდეგ, ბერძენ პარტიზანთა ბრძოლა ხიტოსისა და საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ, ინდოეთის, ინდონეზიის, არაბული ქვეყნების ხალხთა ბრძოლა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, სახალხო დემოკრატიის გამარჯვება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მილიონობით უბრალო ადამიანი, რომელიც მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე დგანან და განსაკუთრებული ავტორიტეტი საბჭოთა კავშირისა, რომელმაც კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის მიხაკისფერი ჭირისაგან და სათავეში ჩაუდგა დემოკრატიული ზავისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას,—აი ის ფაქტორები, რომლებიც უცილობელ ჩაფუშვას უმზადებენ მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ომის გამჩაღებელთა გეგმებს.

XX საუკუნე ამერიკის საუკუნე არ არის. საზოგადოებრივი განვითარების კანონები ამერიკელი მაგნატების სურვილზე როდია დამოკიდებული. მომავალი ჭეშმარიტ, სახალხო დემოკრატიას ეკუთვნის.

**დ. ზავრიევი**

# საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შესდგა, განიხილა ორი საკითხი: 1. ღონისძიებანი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად და 2. პარტიის რიგების ზრდისა და ახალმიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. მირცხულავა.

— ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას, — სთქვა მან, — აფხაზეთის კოლმეურნე გლეხობამ ახალი ვალდებულებებით უპასუხა. კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან ამ დადგენილების განსახორციელებლად, ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად.

შარშან აფხაზეთმა სახელმწიფოს მისცა იმაზე მეტი თამბაქო, ციტრუსი, ჩაი, გერანი, სოია და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის დარგში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, სადაც არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. შარშან სიმინდის დაბალი მოსავალი მივიღეთ, რაც ამ კულტურისადმი კოლმეურნეობათა უყურადღებობის შედეგია. სიმინდის საჰექტარო მოსავალი რესპუბლიკაში 5-7 ცენტნერს უდრიდა, ანუ გეგმის 51,8 პროცენტს.

მიმდინარე წელს სიმინდის თესვა აფხაზეთში ვადაზე — 10 მაისისათვის შესრულდა. ახლა მიმდინარეობს ნათესის გათოხნა. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა დაეხმარონ კოლმეურნეებს სიმინდის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

ციტრუსების დარგვის 1946-1947 წლის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. გაშენდა ახალი პლანტაციები: ლიმონი — 315,4 ჰექტარზე, ფორთოხალი — 197.74 ჰექტარზე, მანდარინი — 450,6 ჰექტარზე. ციტრუსოვანი პლანტაციები დაბარულია, ნარგავები შეწამლული. ნიადაგში შეტანილია სასუქი. ყოველივე ამან უზრუნველჰყო ციტრუსების ნორმალური ვეგეტაცია და უხვი აყვავილება.

ჩამორჩენაა 1948 წლისათვის ციტრუსების პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების დარგში. 25 მაისისათვის აფხაზეთში ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 24,9 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩებიან სოხუმისა და გულრიფშის რაიონები. პირველს გეგმა შესრულებული აქვს 10,3 პროცენტით, ხოლო მეორეს—18,5 პროცენტით. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პლანტაციების ბორდოს ხსნარით შესხურება, დამულჩვა და სხვ. ციტრუსოვანთა მოვლა-დამუშავების აგრო-წესებს არღვევენ გუდაუთის, ოჩამჩირის, გაგრის, გულრიფშის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება, — ამბობს შემდეგ ამხ. მირცხულავა, — ჩაის დარგში საპასუხისმგებლო ამოცანებს გვისახავს. 1948 წელს უნდა გადავაჭარბოთ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ომამდელ დონეს. გარდა ამისა, ხუთწლიანი გეგმით აფხაზეთში უნდა გაშენდეს 2 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია.

წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების მოვლა. ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია ნორმალურად მიმდინარეობს. ამის შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმა 25 მაისისათვის 109,3 პროცენტით იყო შესრულებული. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ირღვევა ჩაის ფოთლის კრეფის წესები, მოუგვარებელია მოკრეფილი ფოთლის მიღება პუნქტებში, ნელი ტემპით მიმდინარეობს პლანტაციების გათოხნა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აფხაზეთი გადაჭარბებით ასრულებს თამბაქოს დამზადების გეგმებს. მიუხედავად ამისა, თამბაქოს მოსავლიანობის გეგმა არ სრულდება. წელს გატარებულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველჰყოს ამ ჩამორჩენის გამოსწორება.

ამხ. მირცხულავამ გააშუქა აგრეთვე მორიგი ამოცანები ევკალიპტის, ტუნგოს, ხეხილის გაშენებისა და მოვლის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დარგში, ვრცლად ილაპარაკა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საკითხებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ჯანჯღავამ პლენუმს მოუთხრო, თუ როგორ მოაწყეს თებერვლის პლენუმის დადგენილების პოპულარიზაცია კოლმეურნეობებში და როგორ იბრძვიან რაიონის მშრომელები ბელადისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად. ყველა საკოლმეურნეო ბრიგადასა და რგოლში მოწყობილია სიმინდის ან თამბაქოს სტახანოვური ჰექტარები. გუდაუთელები იბრძვიან შარშანდელთან შედარებით 120 ათასი ფუთით მეტი სიმინდისა და [illegible] თამბაქოს მიღებისათვის. ამხ. ჯანჯღავამ გააკრიტიკა აფხაზეთის დამამზადებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვ. ოტირბა, კ. თორია და რ. წულაია. მათ დღემდე გააჭიანურეს კოლმეურნეობებისათვის 320 ტონა მარცვლეულის და სხვა პროდუქტების გამოყოფა და ადგილზე გაგზავნა.

სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში თებერვლის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ზარანდიამ. წელს რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები წარმატებით სრულდება. მაგრამ არის საშიშროება, რომ თამბაქოს მოსავლის ნაწილს დავკარგავთ, თუ ახლავე არ იქნა მიღებული ზომები სათანადო საშრობი ფარდულების მოსაწყობად.

პარტიის ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიკომების მდივნებმა ნ. გვილავამ და რ. ბოხუამ ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რასაც აღნიშნული რაიონების მშრომელები ეწევიან ჩაის, თამბაქოს და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად.

გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. რუხაძემ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობის 63 ჰექტარი ციტრუსოვანი პლანტაცია სანიმუშოდაა მოვლილი. წელს სახელმწიფოს ჩავაბარებთ 170 ათას ცალ ციტრუსს. სიმინდის სტახანოვური ჰექტარები ახალ ყამირ ფართობებზეა მოწყობილი 31 ჰექტარის რაოდენობით. კოლმეურნეები ა. ლუკავა, ს. მუშკუდიანი და წულაია იბრძვიან ჰექტარზე 500 ფუთი სიმინდის მიღებისათვის.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ი. ტანია (აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), გ. ხვიტია (ტამიშის მტს-ის დირექტორი), თ. თოდუა (კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), გ. ბერულავა (აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი), ი. კაკალია (პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილე მეცხოველეობის დარგში) და სხვ.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. კუჭავამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის გაგრის რაიკომის მდივანმა შ. გეთიამ, პარტიის გალის რაიკომის მდივანმა ა. ჭეჭიამ, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ს. სიგუამ, პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ჩაჩუამ, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. ბებიამ და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 ივლისის დადგენილების შემდეგ აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა პარტიაში ახალმიღებულებთან. გასული წლის აგვისტოდან მიმდინარე წლის მაისამდე საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულია 1.641 კაცი, მათ შორის საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად — 638. პარტიის რიგებში შევიდნენ მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია. ამჟამად აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში ითვლის 13.388 კომუნისტს. აქედან 11.302 საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია და 2.086 საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი. ახალმიღებულთა შორის 44 პროცენტი კოლმეურნეა. ახლა პარტიული ორგანიზაციები უფრო სერიოზულად უდგებიან პარტიაში მიღების საქმეს, მტკიცედ იცავენ ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს.

გაიზარდა პირველადი პარტორგანიზაციების რიცხვიც. გასული წლის აგვისტოდან შექმნილია 78 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, აქედან 20 საკოლმეურნეო. გაუმჯობესდა ახალმიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. 5 ათასზე მეტი ახალგაზრდა კომუნისტი სწავლობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას, პარტიის წესდებასა და პროგრამას, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს.

ამასთან პლენუმმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიის რიგების ზრდისა და პარტიაში ახალმიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში. გასული წლის აგვისტოდან პარტიაში მიღებულ იქნა მხოლოდ 67 მუშა, რაც შეადგენს ახალმიღებულთა 10,5 პროცენტს. ეს ძლიერ ცოტაა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იზრდება ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია. გასული წლის აგვისტოდან ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა პარტიის რიგებში მიიღო 29 კაცი, აქედან მხოლოდ 12 მუშა. ზოგიერთი რაიკომი ნაკლებ ყურადღებას უთმობს უპარტიო აქტივთან მუშაობას. საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავეთა და კომკავშირელთა მიღება პარტიის რიგებში არასაკმაოა. ამითაც აიხსნება, რომ აფხაზეთის 33 კოლმეურნეობაში არ არსებობს პირველადი პარტორგანიზაცია.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

**ს. შონია**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია

2 ივნისს მოსკოვში გაიხსნა კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია. ტიმირიაზეველთა ტრადიციული კონფერენციის გახსნისას აკადემიკოსმა ვ. ს. ნემჩინოვმა სთქვა, რომ დღევანდელი თათბირი მიძღვნილია ომისშემდგომ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებისადმი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ბენედიქტოვმა. მან კონფერენციას მოაგონა, რომ სოფლის მეურნეობის წინაშე დგას დიდი ამოცანა — სამი წლის განმავლობაში აღადგინოს მარცვლეულის წარმოების ომამდელი დონე და მნიშვნელოვნად გადააჭარბოს მას ხუთწლედის ბოლოს. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე დიდ ამოცანებზე ტექნიკური კულტურების მოყვანის, მეცხოველეობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანის გადიდება უმთავრესად უნდა მოხდეს მოსავლიანობის გადიდების გზით, ხოლო უხვი მოსავლის მიღწევისაკენ მიმავალი გზა მეცნიერებაზე გადის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოყვანილია მარცვლეული კულტურების ბევრი ახალი ჯიში. მათი ფართოდ დანერგვა საკოლმეურნეო მინდვრებში ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად დამატებით მისცემს ასობით მილიონ ფუთ მარცვლეულს. სოფლის მეურნეობის მეცნიერთა წინაშე დგას ამოცანა შექმნან ისეთი ჯიშები, რომლებსაც ვერ ავნებს ვერც გვალვა და ვერც ყინვა და რომლებიც უხვ მოსავალს მოგვცემენ ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში.

ამხ. ბენედიქტოვი დაწვრილებით შეჩერდა მეცნიერების ამოცანებზე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცხოველეობისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების დარგში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მომხსენებლის ცნობამ, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუშაობს შუა რუსეთის მაღლობის მორწყვის პრობლემაზე. აქ განზრახულია დიდი მასშტაბის სამუშაო. თვითეულ კოლმეურნეობაში დასახულია შეიქმნას მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა კულტურების გარანტირებული მოსავლის ნაკვეთი. მეცნიერთა წინაშე ისახება ამოცანა მეცნიერულად დაასაბუთონ სოფლის მეურნეობის მიმართულება და ორგანიზაცია სარწყავ მიწებზე. ამხ. ბენედიქტოვი ლაპარაკობს ტყის ნარგავთა გენერალურ გეგმაზე, რომლებიც მწვანე რგოლად უნდა შემოერტყან ტრამალის რაიონების კოლმეურნეობათა მიწებს და დაიცვან ნათესები ხორშაკისაგან.

მოხსენება „მარცვლეული მეურნეობის განვითარება და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება“ გააკეთა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ი. ვ. იაკუშკინმა. მომხსენებელმა დაახასიათა საგაზაფხულო თესვა და ნათესთა მდგომარეობა და სთქვა, რომ წლევანდელი გაზაფხული შარშანდელზე უფრო ხელსაყრელია. (საქტაგი).

მეოთხე ხუთწლედის მშენებლობებზე

# მზადდება ახალი შახტის 6 ლავი

1944 წლის იანვარში სახელოვანი ტყიბულელი შახტმშენებლის პოლიევქტ ჭელიშვილის ბრიგადის წევრებმა ტყიბულის ერთ-ერთ ტყიან უბანში პირველად დაჰკრეს ბარი იმ ადგილს, სადაც შახტის გათხრა უნდა დაეწყოთ. მალე ამ ბრიგადას ახალი ბრიგადები წამოეშველნენ. გაჩაღდა ახალი შახტის მშენებლობა.

ახლა დღითი დღე ლამაზდება ის უბანი, სადაც ახალი შახტი შენდება. უკვე აგებულია 4 მუშათა საერთო საცხოვრებელი. მთავრდება ექვსი ახალი ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის აგება. შენდება ქვანახშირის დასატვირთავი ბუნკერი 250 ტონის ტევადობისა. დაწყებულია ოთხსართულიანი ადმინისტრაციული სახლის, საბავშვო ბაგისა და ბაღის, ქვანახშირის საავარიო საწყობის, მიმღები ბუნკერის და სხვა ობიექტთა მშენებლობა. ახლახან დამთავრდა ელექტროქვესადგურის აგება. ამ თვეში დამთავრდება მექანიკური სახელოსნოს, საკომპრესოროს და სავენტილაციო შენობების აგება, დაიწყება მუშათა სასადილოს მშენებლობა.

ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების მიმართვის პასუხად ტყიბულელმა შახტმშენებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მთელი რესპუბლიკის შახტმშენებლები, აკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი. ტყიბულელმა მშენებლებმა დაივალეს დროულად მოამზადონ შახტი საექსპლოატაციოდ. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში მათ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. დაბეტონების დარგში პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 109,2 პროცენტით. საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე აპრილისა და მაისის გეგმები.

შახტის დაბეტონებაზე 6 ბრიგადა მუშაობს. ამათგან ყველაზე მოწინავენი არიან ის ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ შ. ჩიტიძე, ვ. კუზმინი და ალ. დორმიდინი. შ. ჩიტიძის ბრიგადამ დაბეტონების პირველი კვარტალის დავალება 131,3 პროცენტით გაანაღდა, ვ. კუზმინის ბრიგადამ —129 პროცენტით, ა. დორმიდინის ბრიგადამ—129,3 პროცენტით. მაისის დავალებები ამ ბრიგადებს შესრულებული აქვთ 120-125 პროცენტით.

მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს გვიჩვენებს მთხრელთა ის ბრიგადა, რომელსაც ორდენოსანი ვ. ბარტნოვსკი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ბრიგადამ, სადაც 6 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს, გასულ წელს ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღო ფულადი პრემია 30.000 მანეთის რაოდენობით. ეს ბრიგადა ხშირად, ნაცვლად 1,7 მეტრისა, აღწევს 2-3 მეტრ წინსვლას. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე პ. ჭელიშვილის, ს. გვენეტაძის და ალ. სივაკის ბრიგადები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა წამყვანი კვალიფიკაციის მრავალი მუშა. მთხრელი ალ. ბოჭორიშვილი ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს. დამბეტონებელმა ი. ბუბაშვილმა მაისის გეგმა 18 დღეში გაანაღდა. კარგად მუშაობენ აგრეთვე მთხრელები კუბლაშვილი, პიჭინაძე და სხვები.

შახტმშენებლებს შორის მრავლად არიან რაციონალიზატორები, ძვირფას წინადადებათა ავტორები. მოძრაობის უბნის უფროსის ი. ტორონჯაძის წინადადებით საბაგირო გზასთან მოეწყო ფუჭი ქანის ესტაკადა. ამით საბაგირო გზის დაზიანების შემთხვევაში, რასაც წინათ ხშირად ჰქონდა ადგილი, შესაძლებელი ხდება ფუჭი ქანების შეუფერხებელი გაზიდვა. ეს ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, უზრუნველჰყოფს მშენებლების შეუფერხებელ მუშაობას.

ქ. გოგლიძის წინადადებით საბურღავი უროების „ბმ-25" დამზადების დროს იყენებენ 22 მილიმეტრიან საბურღავ ფოლადს, ნაცვლად 25 მილიმეტრისა. ეს წლიურად გვაძლევს 10.864 მანეთისა და 2,5 ტონა ფოლადის ეკონომიას.

გზის ოსტატის ამხ. გ. ღვინეფაძის წინადადებით შახტის კაპიტალური გვირაბის პირთან მოეწყო წყლის საწრეტი, რითაც დიდად გაუმჯობესდა მუშაობის პირობები.

მშენებლობაზე ახლა ახორციელებენ ვ. კუზმინის წინადადებას, რომლითაც დაბეტონების დროს ხის ქარგილი, რასაც დღემდე იყენებდნენ, რკინით შეიცვლება. ეს საშუალებას იძლევა დაიზოგოს ხე-ტყის მასალა, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, შემჭიდროვდეს სამუშაო საათები.

მშენებლები ღრმად იჭრებიან მთის გულში. ა. სივაკის ბრიგადამ 620 ჰორიზონტის აღმოსავლეთ ფრთაზე დაამთავრა საველე შტრეკის 125 მეტრზე გაჭრა, რასაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აწარმოებდა, შემდეგ გაჭრა გვერდობი 8,5 მეტრზე. 5 მაისს ბრიგადა მიადგა ქვანახშირის მდიდარ ფენას. იგი ახლა სამუშაოს ასრულებს ქვანახშირის ფენაში.

ამავე ჰორიზონტის დასავლეთ ფრთაზე 15 მაისს ორდენოსან პ. ჭელიშვილის ბრიგადა მიადგა ქვანახშირის ახალ ფენას. ახლა იგი აწარმოებს ახალი ლავის მომზადებას. ორივე ბრიგადა ქვანახშირის ფენებში მუშაობს და ყოველდღიურად 50-60 ტონა ქვანახშირს იძლევა.

ორდენოსან ს. გვენეტაძის ბრიგადა მუშაობს ცენტრალური სავენტილაციო კვერშლაგის მომზადებაზე. 620 ჰორიზონტზე ბრიგადა გათხრის კვერშლაგს 60 მეტრზე და უახლოეს დღეებში შევა ქვანახშირის ფენაში. ოთხი თვის შემდეგ იგი გახსნის ახალ ლავს.

ორდენოსან ვ. ბარტნოვსკის ბრიგადა მუშაობს ლავებში სამაგრი მასალის მისაწოდებელი გზის გაყვანაზე.

ამ წლის ბოლოსათვის მშენებლები საექსპლოატაციოდ მოამზადებენ ახალი შახტის ექვს ლავს.

**ს. მერკვილაძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



კობულეთის რაიონის სოფელ ქვედა-ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. ჩხარტიშვილი მეციტრუსეობის ბრიგადის წევრებს უკითხავს ახალ გაზეთს.

ფოტო რ. აკოფოვისა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველთა სოციალისტური შეჯიბრება

## გემთშემკეთებელთა ვალდებულებანი

ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის სტახანოველები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ თანასოფლელ კოლმეურნეებსა და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ. სახარატო საამქროს სტახანოველმა სანდრო ქანთარიამ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფელ ყულევის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი კ. ბასილაია და იკისრა წლიური გეგმას ორმაგად შესრულება.

საპასუხო წერილში ყულეველი კოლმეურნე კ. ბასილაია სწერს: თანასოფლელის გამოწვევამ ჩვენ გაგვახარა. ბრიგადის სახელით ვკისრულობ: 8 ჰექტარი სიმინდის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანო 40 ცენტნერი მოსავალი, ხოლო დანარჩენ 10 ჰექტარ ფართობზე—16 ცენტნერი ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა. ძალასა და ენერგიას არ დავზოგავ ამ ვალდებულების შესასრულებლად.

ქარხნის საქვაბე საამქროს სტახანოველი ავთანდილ ბარკალაია, რომელმაც შეჯიბრებაში გამოიწვია თანასოფლელი ნ. კუპრეიშვილი, წარმატებით ასრულებს ვალდებულებას. მან მაისის გეგმა 20 დღეში სამმაგად გაანაღდა და იკისრა დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის შეასრულოს 2 წლის დავალება. ამავე საამქროს სტახანოველმა მექვაბემ გ. ხუხუნიმ შეჯიბრებაში გამოიწვია ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის კოლმეურნეობა „შრომის ვარსკვლავის" კოლმეურნე ლ. ხელაია.

თანასოფლელ კოლმეურნეებთან შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე ქალაქის სხვა საწარმოთა სტახანოველებიც.

**ალ. წურწუმია**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## მეშახტის გამოწვევა

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველების ს. ზარიძისა და ი. ჟუმბურიძის მაგალითისამებრ, ვებმები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის, ხელს შეუწყობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის გაძლიერებას.

შეჯიბრებაში ვიწვევ ჩემს თანასოფლელს—ქუთაისის რაიონის სოფელ სორმონის კოლმეურნეობის სტახანოველს მეთოდე ფურცხვანიძეს. ვკისრულობ ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა შევასრულო 150 პროცენტით.

**შალვა ფურცხვანიძე**

ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

## ჩაის ფოთლის კრეფა

### (საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 1 ივნისის ცნობებით)

1 ივნისისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა 121,4 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილია 9.059 ტონა ჩაი, რაც წლიური გეგმის 30,2 პროცენტს შეადგენს.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით, ქობულეთის—100, გალის — 139,8, ოჩამჩირის — 139,9, გულრიფშის — 163,5, სოხუმის — 223,1, გუდაუთის — 181,4, მახარაძის — 118,9, ჩოხატაურის — 111,2, ლანჩხუთის — 124,9, სამტრედიის — 101,5, წულუკიძის — 127,8, ქუთაისის — 152,7, წყალტუბოს — 172,4, ტყიბულის — 133,9, ცხაკაიას — 124,3, აბაშის — 106,7, გეგეჭკორის — 120, ზუგდიდის — 121,3, წალენჯიხის — 135,1, ჩხოროწყუს — 111,4, ხობის — 112,2, ჩხარის — 116,4, ხოლო ზესტაფონის რაიონში—142 პროცენტით.

ლანჩხუთის რაიონის ცნობა 25 მაისისაა.

## ჩაის მზა პროდუქცია გეგმის გადამეტებით

ზუგდიდის ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა მზა პროდუქციის გამოშვების მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გამოშვებულია 45 ტონა ჩაი. უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 300 პროცენტით, პირველი ხარისხის ჩაისა—350 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მაისში გამოშვებულია 1.700 კილოგრამი ჩაი „ექსტრა".

## კომბაინების რემონტი

კომბაინების რემონტის დამთავრების ვადა გავიდა, შინდისის მტს-ს კი 5 კომბაინიდან დღემდე არც ერთი არ შეუკეთებია. წითელქალაქის მტს-ს გეგმით 1 კომბაინი ჰქონდა შესაკეთებელი და ეს დავალებაც არ შეასრულა.

კომბაინების რემონტის გეგმა სტალინირის მტს-ში შესრულებულია 66,7 პროცენტით, ყვარლის — 94,4, ჰარტყოფის — 90, სართიჭალის მტს-ში კი 93,3 პროცენტით. სულ შესაკეთებელი დარჩა 17 კომბაინი.

მოსავლის აღება ახლოვდება. საჭიროა გადამჭრელი ზომები ვიხმაროთ კომბაინების რემონტის სასწრაფოდ დამთავრებისათვის.

პარტიული ქრონიკა

## პარტიის რაიკომების მდივნების რესპუბლიკური სემინარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მუშაობა დაიწყო პარტიის რაიკომების მეორე მდივნების 10-დღიანმა რესპუბლიკურმა სემინარმა.

სემინარის მონაწილენი შეისწავლიან ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიას, ი. ბ. სტალინის ნაშრომებს. წაკითხულ იქნება ლექციები ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის, საკოლმეურნეო მშენებლობის, საერთაშორისო პოლიტიკისა და მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

სემინარმა მუშაობა დაიწყო 2 ივნისს და გასტანს 12 ივნისამდე. პირველ დღეს მოსმენილ იქნა ლექციები თემებზე: „ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია"—ლექტორი ნ. მახარაძე, „სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები" — ლექტორი ვ. ესაიაშვილი, „პროგრესული და რეაქციული ტენდენციების ბრძოლა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში" — ლექტორი დ. ენუქიძე.

3 ივნისს სემინარის მსმენელებისათვის წაკითხულ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: „ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი" — ლექტორი ლ. გორგილაძე, „ახლო აღმოსავლეთი" — ლექტორი დ. ზავრიევი, „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შესახებ" — ლექტორი შ. ჭელიძე.

სემინარზე არის ორი ჯგუფი: ქართული და რუსული.

## თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში

### ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიის შემსწავლელი წრეები

ფაბრიკაში შეიქმნა ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 2 წრე ქართულ და რუსულ ენებზე. წრეებში გაერთიანებულია 61 კაცი. მეცადინეობა ეწყობა კვირაში ორჯერ.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია დახმარებას უწევს ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების დამოუკიდებლად შემსწავლელთ, აწყობს მათთვის ლექციებს, მოხსენებებს, კონსულტაციებს. აპრილსა და მაისში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის წაკითხული იქნა ლექციები: „ლენინის ბავშვობა და ყრმობა", „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა", „სტალინის ბავშვობა და ყრმობა", „სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი" და სხვ.

მოეწყო ექსკურსიები ქალაქ გორში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში და ლენინის მუზეუმში.

### პოლიტწრეების მსმენელთა გამოშვება

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა სამმა პოლიტწრემ. პოლიტწრეები შეიქმნა 1946 წლის ნოემბერში. მათში გაერთიანებული იყო 76 ამხანაგი. მსმენელებმა გაიარეს 60-საათიანი სპეციალური პროგრამა, შეისწავლეს სსრ კავშირის კონსტიტუცია, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხები.

# შევასრულებთ ბელადისათვის მიცემულ სიტყვას

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შორის. კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები მთელი ძალით იბრძვიან წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის. ამას მოწმობს თუნდაც შარშანდელი გამოცდილება. შარშან კოლმეურნეებმა მოიყვანეს 62.350 ცენტნერი მარცვლეული, 17.650 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1945 წელს. გაიზარდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავალი. რაიონში საშუალოდ შრომადღეზე განაწილდა 3 კილოგრამი მარტო მარცვლეული. კოლმეურნეობებში 1946 წლის ფულადი შემოსავლის გეგმა შესრულებულია 110,4 პროცენტით. შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით შარშან მარტო მარცვლეული 351 ცენტნერი გაიცა, ნაცვლად 1945 წელს გაცემული 185 ცენტნერისა.

მრავალმა კოლმეურნეობამ შარშან კარგი მოსავალი მიიღო. სოფელ გუდათუბნის კოლმეურნეობა „წინსვლამ", რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის, კარტოფილის და სხვა კულტურათა მოსავლიანობის გეგმები, შრომადღეზე განაწილა 4,22 კილოგრამი მარცვლეული, 2,3 კილოგრამი კარტოფილი, გარდა ამისა ყველი, თაფლი, ფული. სოფელ ქვების კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. ჭყოიძე) შრომადღეზე 5,55 კილოგრამი მარცვლეული გაანაწილეს, დეისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. კიკნაძე)—5,9 კილოგრამი. სოფელ ღვერკის კოლმეურნეობა „წითელი სხივის" (თავმჯდომარე ა. კვინიკაძე) წევრებმა შრომადღეზე 5,5 კილოგრამი მარცვლეული მიიღეს და 7,5 მანეთი ფული. ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის მეორე რგოლმა (ხელმძღვანელი აფრასიონ კვინიკაძე) ჰექტარზე 19 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. ამის გამო რგოლის წევრებმა შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით შრომადღეზე მიიღეს 3,2 კილოგრამი, ხოლო მთლიანად 8,7 კილოგრამი მარცვლეული.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ვენახის მოვლის გაუმჯობესების, ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში. ასეთები არიან ნადაბურის კოლმეურნეობა „წითელი სოფელი", ლაშის კოლმეურნეობა „იმედი", ჩალხეთის სტალინის სახელობისა და სერბაისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

1945 წელს რაიონში 9 კოლმეურნეობამ მიიღო მარცვლეულის მეტად დაბალი მოსავალი. ამ კოლმეურნეობებში შრომადღეზე განაწილეს ერთ კილოგრამზე ნაკლები მარცვლეული. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სპეციალურად შეისწავლეს ამ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზები, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი და განახორციელეს ისინი. ამის შედეგად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში მდგომარეობა გამოსწორდა. ასე, მაგალითად, 1946 წელს ამ კოლმეურნეობებში შრომადღეზე ორიდან სამ კილოგრამამდე მარცვლეული და აგრეთვე სხვა პროდუქტები გაანაწილეს.

წელს რაიონში სოციალისტური შეჯიბრების გაშლით და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით დაწესებულ ვადაზე ადრე დამთავრდა საგაზაფხულო კულტურების თესვა. 8.570 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 8.583 ჰექტარი, აქედან სიმინდი 8.050 ჰექტარი დროულად დამთავრდა კარტოფილის, სასილოსე და სხვა კულტურების თესვა. თესვის აგროტექნიკური დონე გაცილებით მაღალია შარშანდელთან შედარებით.

თესვის ორგანიზებულად დამთავრება, ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მოვლის გაუმჯობესება მოწმობს იმას, რომ ორჯონიკიძელმა კოლმეურნეებმა საქმით უპასუხეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას. დიდი სტალინისადმი გაგზავნილი წერილით ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს 1.500 ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 43 ცენტნერი ყურძენი. ამ ვალდებულების შესასრულებლად ფართოდ გაჩაღდა მუშაობა. ვენახების პირველი დამუშავება (ბარვა, თოხნა) დამთავრებულია 15 მაისისათვის. მიმდინარეობს მეორე თოხნა. ვენახებში შეტანილია 7.250 ტონა ორგანული სასუქი. დროზე დამთავრდა ვაზის შესხვლა. დამთავრებულია ბორდოს ხსნარით პირველი შეწამვლა, მთავრდება მეორე შეწამვლაც. გოგირდის შეფრქვევა ჩატარებულია ორჯერ. დაწყებულია ვაზის გაფურჩქვნა.

ამას წინათ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მევენახე ბრიგადირებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რაიონულმა თათბირმა განიხილა და მოიწონა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ღონისძიებანი 1947 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის. ამ დოკუმენტში სხვა მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად ჩვენი რაიონისათვის გათვალისწინებულია 100 ჰექტარ ვენახში ნაკელის წუნწუხის შეტანა. ეს სამუშაო უკვე დაწყებულია და გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

მოწინავე კოლმეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებსა და კოლმეურნეებს ნაკისრი აქვთ სერიოზული ვალდებულებანი. მაგალითად, ნადაბურის კოლმეურნეობა „წითელმა სოფელმა" იკისრა 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 55 ცენტნერი ყურძენი. ღვერკის კოლმეურნეობა „წითელმა სხივმა" პირობა დადო საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 10 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი. ასეთივე ვალდებულებები აქვთ აღებული ლაშის, ხონის, უბისისა და სხვა კოლმეურნეობებს.

ყურადღება ექცევა კოლმეურნეთა საკარმიდამო ფართობებზე ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებასაც.

სხვა სამუშაოებთან ერთად რაიონში წარმატებით სრულდება ახალი ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმა. წელს ახალი ვენახი უნდა გაშენებულიყო 65 ჰექტარზე, გაშენებულია 67 ჰექტარზე, — გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. კოლმეურნეობებში 50 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულია 52 ჰექტარი ვენახი. სერიოზული ყურადღება ექცევა მევენახეობის განვითარების 1948 წლის გეგმის შესრულებას. დამყნილია 800.000 ცალი ვაზი,—გეგმა შესრულებულია 133,3 პროცენტით. მარტო ალიგოტე დამყნილია 312.000 ცალი, შარდონე — 125.000.

დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწეულია პირველი წარმატება. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სოციალისტურ შეჯიბრებაში ის გაიმარჯვებს, ვინც უხვ მოსავალს მოიყვანს, შეასრულებს ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დარგში და კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობებს მეურნეობრივ-ორგანიზაციულად. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმმა გ[illegible]ლი პროგრამა დაგვისახა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის, სოფლის მეურნეობის ახალი, სწრაფი აღმავლობისათვის. პლენუმის დადგენილება გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება, ზუსტად განვახორციელოთ აგროწესები და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ეს ძირითადი კანონი.

ჩვენს რაიონშიც ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. სათანადოდ არ არის მოწყობილი შრომა, სუსტია დისციპლინა, დაბალია მარცვლეულისა და ყურძნის მოსავლიანობა სოფელ ვაშლევის ბერიას და საკასრიის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე ხორითის კოლმეურნეობა „ახალშენში", საბის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში", მაქათუბნის კოლმეურნეობა — „მებრძოლში" და სხვ. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა პლენუმის დადგენილების საფუძველზე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა დასაწინაურებლად.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებით, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, საკოლმეურნეო კადრების სწორად შერჩევითა და განაწილებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებით ჩვენი რაიონის მშრომელები სასახელოდ შეასრულებენ ბელადისათვის მიცემულ პირობას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავს ახალი წარმატებებით შეხვდებიან.

**ზ. კიკნაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი

## ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული დელეგაციის წევრები სსრ კავშირში თავიანთი მგზავრობის შესახებ

**პრაღა**, 1 ივნისი. (საკდესი). 30 მაისს ლუცერნის დარბაზში შესდგა პრაღის პროფკავშირული აქტივის კრება, მიძღვნილი ჩეხოსლოვაკიის იმ პროფკავშირული დელეგაციის ანგარიშისადმი, რომელიც ამას წინათ სტუმრად იყო სსრ კავშირში. მოხსენება გააკეთეს დელეგაციის წევრებმა ვანდროვეცმა, შლიხალოვმა, ვაიანეცმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა დეპუტატმა ერბანმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა პროფკავშირების მოღვაწეობაზე, საბჭოთა ადამიანების გმირულ მუშაობაზე გერმანელების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. „ჩვენ, — განაცხადა ერბანმა, — სსრ კავშირში ვიხილეთ თუ რა დიდად უყვართ საბჭოთა ადამიანებს მშვიდობა; საპირველმაისო დემონსტრაციიდან ჩვენ ვბრუნდებოდით საბჭოთა კავშირისა და ყველა სლავი ხალხის დიდი მომავლის ურყევი რწმენით. ჩვენ ვერ წავუყრუებთ იმას, რომ ჩვენი შინაური რეაქცია ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს და აერთიანებს თავის ძალებს. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახლა იმდენად ძლიერი და დარაზმული არიან, რომ არავის მისცემენ ნებას ძირი გამოუთხარონ ჩვენს მუდმივ კავშირს საბჭოთა კავშირთან და ყველა სლავ ხალხთან. ჩვენ გადავწყვიტეთ მშრომელთა სახსრებით დავდგათ პრაღაში სსრ კავშირის ხალხების დიდი ბელადისა და ჩვენი განმათავისუფლებლის გენერალისიმუს სტალინის ქანდაკება. ეს ქანდაკება ჩვენი ურღვევი მეგობრობისა და საბჭოთა ხალხისა და დიდი სტალინისადმი გულწრფელი სიყვარულის სიმბოლო იქნება".

## საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია პრაღას ჩავიდა

**პრაღა**, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ პრაღაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიაზე ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. პოპოვას და დელეგაციის წევრების ამხ. როსტოვსკისა და ბორისოვის შემადგენლობით.

## მარშალ ტიტოს განცხადება ბულგარელი ჟურნალისტებისადმი

**ბელგრადი**, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მარშალმა ტიტომ მიიღო დელეგაცია ბულგარელი ჟურნალისტებისა, რომლებიც იუგოსლავიაში სტუმრად იმყოფებიან. ჟურნალისტებთან საუბარში ტიტომ სთქვა:

„ჩვენში ბევრი რამ შეიცვალა. ახალი იუგოსლავიის მშენებლობის პროცესში ხდება ადამიანთა ხელახალი აღზრდა. იქმნება ახალი კადრები, იზრდებიან ახალი ადამიანები. შარშან ბროსნის რკინიგზის მშენებლობამ ბევრი რამ მოგვცა ახალგაზრდა მუშათა კადრების აღზრდის მხრივ. ჩვენი ახალგაზრდობის ამ დიადმა ინიციატივამ გავლენა მოახდინა არა მარტო იქ მომუშავეებზე, არამედ დანარჩენებზეც. რკინიგზის მშენებლობაზე ჩვენი სხვადასხვა ოლქიდან მოსული ახალგაზრდობის ერთობლივ შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ერთიანობის განსამტკიცებლად, რომელიც ახასიათებს იუგოსლავიის მოძმე ხალხთა ურთიერთობას. წელს უფრო მეტი გაკეთდება. შამაც—სარაევოს გზაზე წარმოებულ მუშაობაში 180 ათასი ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას. მაგრამ ჩვენთვის მარტო ამ მატერიალურ ეფექტს როდი აქვს მნიშვნელობა, არამედ იმ შედეგსაც, რომელიც გავლენას ახდენს ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ჩვენში ყოველი ხალხი გარკვეულ ინდივიდუალობას წარმოადგენს, მაგრამ ყველანი ერთად ჰქმნიან ერთიან მტკიცე მონოლითურ მთლიანობას. ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად მარტო საზღვრების გაუქმება როდი კმარა. ეროვნული საკითხი ხალხის სულში, ადამიანთა ფიქრსა და გრძნობაში უნდა გადაწყდეს. სწორედ ასე სწყდება ეს საკითხი ჩვენში".

ბულგარელმა ჟურნალისტებმა მარშალ ტიტოს სთხოვეს გაეშუქებინა სახალხო ფრონტის არსი და მისი დამოკიდებულება გლეხობისადმი.

სახალხო ფრონტი, — სთქვა მარშალმა ტიტომ, — ჯერ კიდევ ომამდე ჩაისახა და გამოხატებოდა ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ და სამშობლოს დაცვისათვის წარმოებული ბრძოლით. მაგრამ იმ ხანად მას ავიწროებდა ძველ იუგოსლავიაში არსებული რეჟიმები, რომლებიც, როგორც ცნობილია, პროფაშისტური იყო. მათი ხაზი „ღერძს" ემყარებოდა. ომის დროს ჩვენთვის, იმათთვის, ვინც ბრძოლა მოაწყო და ჩაატარა, საფუძველი იყო სახალხო ფრონტი. ჩვენში სახალხო ფრონტი გაფართოვდა და მასობრივი ბაზა გახდა, რომელიც უზრუნველჰყოფს წარმატებით ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. არ უნდა უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ კომუნისტური პარტია მთავარ როლს ასრულებდა, რომ ეს პარტია მთავარი ორგანიზატორი იყო, ხოლო სახალხო ფრონტი ის ორგანიზაცია, რომელშიც შევიდა კომუნისტური პარტია. სახალხო ფრონტი, რომელიც ოკუპანტებისაგან ჩვენი ქვეყნის დაცვისა და კვისლინგელი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველი იყო, სულ უფრო და უფრო იღებდა სახელმწიფოებრივი მასშტაბის ახალი ორგანიზაციის ხასიათსა და ფორმას. ძველი იუგოსლავიის მმართველთა გამცემლობა რომ დაინახა, სახალხო ფრონტმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა მტრებისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნისათვის. სახალხო ფრონტი ჩვენში იცავდა და წარმოადგენდა ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტის იდეას, რაც ბრძოლის პროცესში ყალიბდებოდა, ახლა პარლამენტში ხორციელდება".

## დინიეშის გამოსვლა

**ბუდაპეშტი**, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც ბუდაპეშტის რადიო გადმოგვცემს, გუშინ „მესაზღვრეთა დღის" აღსანიშნავად ბუდაპეშტში ხეების მოედანზე შესდგა მესაზღვრე რაზმების პარადი. პარადს დაესწრნენ საბჭოთა ოფიცრების დელეგაცია, იუგოსლავიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ბუდაპეშტში, საფრანგეთის სამხედრო ატაშე, იუგოსლავიის მესაზღვრეთა დელეგაცია და რუმინელი ოფიცრების ბუდაპეშტში მყოფი დელეგაცია. პარადზე სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ლაიოშ დინიეშმა, რომელმაც განაცხადა:

— ჩვენ გვსურს მშვიდობიანი ურთიერთობა გვქონდეს არა მარტო ჩვენს მეზობლებთან, არამედ მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ხალხთანაც. ჩვენ გვსურს მშვიდობიანი თანამშრომლობა დიდ სახელმწიფოებთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან, განსაკუთრებით კი ჩვენს მეზობელ საბჭოთა კავშირთან, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლისა და მატერიალური მსხვერპლის ფასად შესაძლებლობა მოგვცა, ერთი მხრივ, დაგვებრუნებინა თავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაგვეყარა გონვედის (ეროვნული არმიის—რედ.) რეორგანიზაციისათვის 1848 წლის იდეების თანახმად.

უნგრეთის დემოკრატია, სთქვა შემდეგ პრემიერ-მინისტრმა, პირდაპირი და აშკარა გზით მიდის. იგი თავის დიად მიზნებს მოტყუებისა და პოლიტიკური ინტრიგების გზით როდი ახორციელებს. მას სურს განამტკიცოს დემოკრატია, უზრუნველჰყოს მშრომელთა საარსებო დონის აღდგენა და აღმავლობა სამწლიანი გეგმის ფარგლებში. ყველგან გაჩაღებულია მშვიდობიანი მუშაობა. ჩვენი ცხოვრების მსვლელობა იმ კრიზისმაც კი ვერ შეაფერხა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული თვეების მანძილზე. ჩვენში გამეფებულია სიწყნარე, მშვიდობა და წესრიგი. შეშფოთებაა მხოლოდ შეთქმულთა, სპეკულანტთა და რეაქციონერთა ბანაკში, მაგრამ უნგრეთის დემოკრატიას უკვე საკმაო ძალა შესწევს, რომ თავისი რიგებიდან განდევნოს დემოკრატიის მტრები. ჩვენთან თუ ჩვენს წინააღმდეგ — ეს არის საკითხის დედაარსი.

## რაკოშისა და საკაშიჩის განცხადება

**ბუდაპეშტი**, 2 ივნისი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიო გადმოგვცემს, რომ პრემიერ-მინისტრის მოადგილე მატიას რაკოშმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ პეშტის კომუნისტური პარტიის საკომიტეტო ორგანიზაციათა თათბირზე, შეეხო წარსული პოლიტიკური კრიზისის გარემოებას. ამ კრიზისის სწრაფი მოგვარება, ხაზგასმით აღნიშნა რაკოშიმ, ამტკიცებს, რომ უნგრეთის დემოკრატია ჯანსაღია, ძლიერია და, თუ საჭირო იქნა, შესძლებს რკინის ხელით დაამყაროს წესრიგი. კომუნისტური პარტია ნდობით ეპყრობა ახალ პრემიერ-მინისტრს და ფიქრობს, რომ შეთქმულებას და დემოკრატიის საქმეს იგი სულ სხვაგვარად მოეკიდება, ვიდრე ფერენც ნადი, რომელსაც ხელი გასვრილი ჰქონდა. უნგრელი ხალხი მოითხოვს ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო შეთქმულებას. შეთქმულთა მეგობრები და ისინი, ვინც მათ მხარს უჭერს, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან უნდა გაირიცხონ. თუ პარლამენტში, სადაც ბევრნი, რომლებიც იქ ფერენც ნადებისა და ბელა კოვაჩების მეოხებით იმყოფებიან, დაბრკოლებას შეგვიქმნიან, მაშინ ჩვენ ხალხს მივმართავთ და ახალ არჩევნებს მოვითხოვთ.

რაკოში შეეხო უცხოეთის გამოხმაურებას უნგრეთის მთავრობის კრიზისზე და განაცხადა: უნგრეთში არავითარი სახელმწიფო გადატრიალება, პუტჩი ან ამბოხება არ მომხდარა. მხოლოდ ის მოხდა, რომ გამოაშკარავდა პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა შეთქმულებაში, და მან, რაკი დანაშაულს გრძნობს, ვერ გაბედა დაბრუნებულიყო, რათა უნგრეთის სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო.

ქალაქ მოშონმადიაროვარში შესდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრის მოადგილემ არპად საკაშიჩმა. ახალი მთავრობა, განაცხადა მან, შედგენილია. მაგრამ ამით უნგრეთის პოლიტიკური კრიზისი ჯერ კიდევ საბოლოოდ როდია მოგვარებული. წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელმა პარტიამ უნდა გაწმინდოს თავისი რიგები. ამავე დროს, უეჭველია, საჭიროა, რომ უნგრელმა ხალხმა თვითონ გადასწყვიტოს საკითხი — სახალხო ხელისუფლება სურს თუ ის, რომ კვლავ ბანკირებისა და კაპიტალისტების მიერ იყოს ჩაგრული. სწორედ ამიტომ უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები.

## წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის თავმჯდომარის იშტვან დობის განცხადება

**ბუდაპეშტი**, 2 ივნისი. (საკდესი). წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის ახალმა თავმჯდომარემ იშტვან დობიმ შემდეგი განცხადება გაუკეთა გაზეთ „ა რეგელის" თანამშრომელს:

„პარტიისათვის ხელმძღვანელობის გაწევაში დავეყრდნობი ძველს და დემოკრატიული რწმენით ცნობილ დეპუტატებს, პირველ რიგში იმ გლეხ დეპუტატებს, რომლებთანაც ერთად ამ უკანასკნელ 15 წელს მებრძოლნია და რომელთა რწმენას პირადად ვიცნობ. ჩემი სურვილია, რომ მუშათა პარტიებმა ირწმუნონ ჩვენი დემოკრატიული გრძნობების სიწრფელე, იმ ადამიანთა სამედოობა, რომელთაც მომავალში ყველა პარტიულ და სახელმწიფო პოსტზე წამოვაყენებთ და ნდობით მოეპყრონ წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის ხელმძღვანელობას. დარწმუნებული ვარ პარტიული მასები ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ჩვენს პროგრამას და ჩვენს პოლიტიკას".

## მდგომარეობა თურქეთში

**ანკარა**, 2 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „კუვეტის" ცნობით, თურქეთის მეჯლისში შეტანილია პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მოთხოვნა, რომ სადეპუტატო ხელშეუხებლობა ჩამოერთვას დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებს კეპრიულიუს და იამინ საზაკს, რადგან მათ შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციას, რომელმაც მიმდინარე წლის მარტში გარეკა მიტინგი სადგურ ესკიშეჰირზე, სადაც ისინი სიტყვებით უნდა გამოსულიყვნენ.

## ჰიტლერელი გამომგონებელი მესერშმიტი სამუშაოდ მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჰიტლერელი ავიაკონსტრუქტორი მესერშმიტი სამუშაოდ მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## ნენის გამოსვლა

**რომი**, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც ანსას სააგენტო იუწყება, პიეტრო ნენიმ გუშინ სიტყვა წარმოსთქვა კალიარში გამართულ დიდ მიტინგზე. მისი სიტყვა მიეძღვნა იტალიის პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვას. ნენის შეეკითხნენ, რა აზრისა ხართ მთავრობის ახალ შემადგენლობაზეო. მან შემდეგი პასუხი გასცა: „ჩემი აზრით, მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა სრულიად არ შეეფერება იტალიის აქტუალურ ამოცანებს და იმ ღონისძიებებსა და მსხვერპლს, რომლებიც მთავრობამ ყველასაგან უნდა მოითხოვოს. ამ მთავრობის თვითეული აქტი ცალმხრივი და კლასობრივ ინტერესთა ზეგავლენით შესრულებული იქნება არჩევნებამდე მაინც. ამიტომ მე მგონია, რომ ქვეყნის მართვა შეუძლებელია, თუ მშრომელი კლასების წარმომადგენელნი არ იქნებიან, რადგან უამათოდ მართვა, როგორც ეს ცხადი გახდება რამდენიმე კვირის შემდეგ, მათ წინააღმდეგ მართვა იქნება. თუმცა იმასაც ვფიქრობ, რომ ასევე არ შეიძლება მართვა, თუ მონაწილეობას არ მიიღებენ ქრისტიანი დემოკრატები.

კრიზისის ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე ძვირფასია მთელი რესპუბლიკური ძალების ერთიანობა. დე გასპერიმ დაარღვია ეს ერთიანობა. ისღა შემიძლია ვისურვო, რომ დამფუძნებელმა კრებამ უარი უთხრას მას ნდობაზე და მხარი დაუჭიროს 2 ივნისის სულისკვეთების შესაფერ მთავრობას. ჩემი აზრით, იმას, ვინც აპირებს ანგარიში გაუწიოს შარშინდელ არჩევნებს, ისღა დარჩენია, რომ დააჩქაროს ახალი არჩევნები".

## დე გოლის გამოსვლა

**პარიზი**, 1 ივნისი. (საკდესი). გუშინ პარიზში დე გოლის მიერ შექმნილი ორგანიზაციის „ფრანგი ხალხის გაერთიანების" სადეპარტამენტო ხელმძღვანელთა კრებაზე დე გოლმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც კვლავ მოუწოდა საფრანგეთში არსებული რეჟიმის შეცვლისაკენ. დე გოლმა ილაპარაკა „საფრანგეთის ეკონომიურ და სოციალურ განახლებაზე". და განაცხადა, რომ ეს განახლება „გულისხმობს აგრეთვე იმათ დახმარებას, ვისაც შეუძლია ასეთი დახმარება გაუწიოს საფრანგეთს, ესე იგი ამერიკელთა დახმარებას". დე გოლი ამტკიცებდა რომ „ამ დახმარებას მოჰყვება დაუყოვნებლივი სარგებლობა საფრანგეთისათვის და მორალური უპირატესობა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის".

თავის სიტყვაში დე გოლი მოუწოდებდა აგრეთვე ევროპეიზებული „დასავლეთის ბლოკის" შექმნისაკენ და აცხადებდა, საჭიროა „ევროპის აღდგენა დასავლეთური ფორმით და დასავლეთური სულისკვეთებითო".

## „იუმანიტე" საფრანგეთის კოლონიებში ამერიკის ექსპანსიის შესახებ

**პარიზი**, 30 მაისი. (საკდესი). „საფრანგეთის კავშირი თუ დოლარის იმპერია?"—ამ საკითხს აყენებს ანდრე კარელი გაზეთ „იუმანიტეში". თავის სტატიაში კარელი ამხელს ამერიკის შეერთებული შტატების ოინებს საფრანგეთში და საფრანგეთის კავშირში. კარელი აღნიშნავს, რომ ტრუმენი და მისი მრჩეველნი ინტერესს იჩენენ ყველა სამადნოს ექსპლოატაციისადმი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ურანის წარმოებაში. ამგვარი ინტერესი, კერძოდ, კონკრეტულად გამოიხატა ბელგიის კონგოში წარმოებული ოპერაციებით.

„მართალია თუ არა, — განაგრძობს კარელი, —რომ საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში „ლითონებისა და მინერალების საფრანგეთ-ამერიკის კომპანია" ეწევა კონაკრის რკინის მადნის მსხვილი საბადოების ექსპლოატაციას? მართალია თუ არა, რომ „ალუმინიუმ კომპანი ოფ კანადა" გვინეის ბოქსიტის ბუდობის მესაკუთრე გახდა? მართალია თუ არა, რომ ტრესტმა „მეტალ ენდ ტერნიტმა" სენეგალის ილმენიტის საბადოები შეიძინა? საფრანგეთის ზღვას იქითა ტერიტორიების საქმეთა მინისტრმა პასუხი უნდა გასცეს ყველა ამ კითხვაზე, რადგან საფრთხე მოელის ყველა ამ ტერიტორიის ეკონომიურ დამოუკიდებლობას. მაგრამ მან აგრეთვე უნდა განგვიმარტოს ის მიზეზები, რომლებითაც კამერუნში ამერიკის კაპიტალით მოწყობილმა საზოგადოებამ შეჰქმნა რუტილის (ტიტანის ჟანგის) საწარმოო ქარხნები. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით შევიტყოთ, ვინ მისცა ნებართვა ერთ-ერთ უდიდეს მსოფლიო ტრესტს „სელკუშ ტრასტს" მოეწყო კამერუნის საზოგადოება ებანგა-შარისა და სხვა ადგილებში, ალმასისა და მრავალი სხვა მინერალის საბადოების გამოსაკვლევად. რატომ არ გვატყობინებენ იმ ბრძოლის ამბავს, რომელიც გაჩაღებულია ბოქსიტის გარშემო „ალუმინიუმ კომპანი ოფ კანადასა" და „რეინოლდს მეტალ კომპანის" შორის? დასასრულ, რატომ არაფერს გვატყობინებენ იმის შესახებ, რომ მადაგასკარში დაბანდებულია ბრაზილიისა და არგენტინის კაპიტალები საკოას სამადნეების ექსპლოატაციის საქმეში?".

დასასრულ კარელი სწერს: „ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ამერიკის ექსპანსიონიზმს ეს ახალი ფორმა განვითარებას შესძლებდა, მდუმარე თანამონაწილეობა რომ არ ფარავდეს". „ხომ ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულმა ინტერესმა მაროკოს ნავთისადმი დიდი როლი შეასრულა გენერალურ რეზიდენტ ერიკ ლაბონის გადაყენებაში". „საბოლოო ანგარიშით, — ამთავრებს კარელი, — აქ საქმე ეხება ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას".

## დანიის პრესა ამერიკის პრეტენზიების შესახებ გრენლანდიაზე

**კოპენჰაგენი**, 1 ივნისი. (საკდესი). ცნობა, რომ დანიის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა მოლაპარაკების დაწყება ამერიკის შეერთებულ შტატებთან გრენლანდიის შესახებ შეთანხმების გაუქმების თაობაზე, კმაყოფილებით მიიღო დანიის ფართო საზოგადოებრიობამ. ამავე დროს დიდი იმედგაცრუება გამოიწვია მარშალის განცხადებამ, რომელიც აქ მიაჩნიათ თავისებურ პასუხად დანიის ნოტაზე, რაც მოწმობს, რომ ამერიკელებს არ სურთ დასტოვონ გრენლანდია. ამის თაობაზე გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი" სწერს: „ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ დანიის მთავრობის ნოტაში გამოთქმული აზრი დანიისა და გრენლანდიის ხალხების სურვილია. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მარშალმა 29 მაისს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მოლაპარაკება აწარმოონ ახალ შეთანხმებაზე, რომელშიც „სავსებით გათვალისწინებული იქნება დანიის სუვერენიტეტის ინტერესები და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთი ნახევარსფეროს თავდაცვის საჭიროება". მან დაუყოვნებლივ უნდა განმარტოს, რომ დანიის მხარე ასეთ წინადადებას არ მიიღებს. „სუვერენიტეტს" უცხოელთა სამხედრო ნაწილების ყოფნისას და უცხოელთა ბაზების არსებობისას რეალობასთან საერთო არა აქვს რა, და მდგომარეობა არ უმჯობესდება იმით, რომ გენერალი მარშალი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. პირიქით, სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე დანიას შეუძლია ენერგიულად მოითხოვოს შეთანხმების გაუქმება უახლოეს მომავალში".

გაზეთი „ინფორმაშონი" კომენტარს უკეთებს შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ გრენლანდიაში ამერიკელთა ხანგრძლივი ყოფნა ისეთი ფაქტი გახდა, რომელსაც დანიის ოფიციალურმა მხარემ ამჯობინა დუმილით აეარის გვერდი. ახლა ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ დანიის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრძანება მიეცა მიმართოს ამერიკის მთავრობას ამ საკითხზე მოლაპარაკების შესახებ. ინიციატივამ, რომელიც დიდხანს არ ჩანდა, როგორც იქნა, თავი იჩინა.

## „ტრუმენის დოქტრინის" გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე

**ჰააგა**, 1 ივნისი. (საკდესი). ჰოლანდიის გაზეთები კვლავ აქვეყნებენ ახალ ცნობებს იმის შესახებ, რომ ამერიკელები ჰოლანდია-ინდონეზიის საქმეებში ერევიან და „ტრუმენის დოქტრინა" ინდონეზიაზე ვრცელდება. მსხვილი საბანკო წრეების ორგანო ამსტერდამის ცნობილი ჟურნალი „ელსევირსი" იუწყება, რომ ამ კვირაში ამერიკელებმა ჰოლანდიის მთავრობას გადასცეს ნოტა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შიშს გამოსთქვამს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ნაციონალისტურ მიმდინარეობათა არსებობის გამო, რომლებიც თითქოს „კომუნისტურ ხასიათს" იღებენ. ამერიკას სურს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებს „წინანდებურადვე ჰქონდეთ დასავლეთის დემოკრატიათა ორიენტაცია". ამერიკელები თავიანთ დოლარებს სთავაზობენ ინდონეზიის აღსადგენად.

გაზეთი „დე ვაარჰეიდი" დიდი სათაურით „ტრუმენის პოლიტიკა ინდონეზიაში" სწერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც ტრუმენის დოქტრინას ინდონეზიაზეავრცელებენ, სურთ დიდი ბრიტანეთის „მოვალეობა" იკისრონ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჰოლანდიის მთავრობის მინისტრების უმეტესმა ნაწილმა, სწერს „დე ვაარჰეიდი" მხარი დაუჭირა იმას, რომ ინდონეზიაში ფართო მასშტაბით წარმოებდეს ომი ამერიკის დახმარებით. ამერიკის სამხედრო მისიამ, რომელსაც სათავეში პოდპოლკოვნიკი დიქსონი უდგას, გამოიკვლია ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, აგრეთვე იყო ინდონეზიაში, სადაც სწავლობდა ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკული იარაღით ომის წარმოების შესაძლებლობას.

### ლექცია

5 ივნისს, საღამოს 5 ს. 30 წ. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. იოსელიანის ლექცია თემაზე: „მონათმფლობელობა საქართველოში".

შესვლა თავისუფალია.

### საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა 4 ივნისს

**რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:**

9.15 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან: „მოძმე ერების საბჭოთა ლიტერატურა". ენვერ მამედხანლის მოთხრობა „ულდუზი".

**რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:**

17.20 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. 18.20 — კონცერტი. 19.15 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, დირიჟორი მიხეილ ბორჩხაძე. 20.00 — რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სადიპლომო სპექტაკლის გოუსა და დიუსოს პიესის „ღრმა ფესვების" ტრანსლაცია თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზიდან.

### სემინარი

**4 ივნისს, საღამოს 8 საათზე,** მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 33-35) ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ბრძოლა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის რუსეთში. ი. ბ. სტალინი ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ორგანიზატორი და ფუძემდებელი".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ახობაძე.**


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგებლობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება დირექტორის სახელზე (მელიქიშვილის ქ. № 16) შემდეგი საბუთებით: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, 2. ავტობიოგრაფია, 3. დიპლომის ასლი, 4. ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, 5. მეცნიერული ნაშრომები სათანადო რეცენზიებით, 6. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან და ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა — ერთი თვე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

ქალაქ თბილისის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება აუწყებს საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ ამ საზოგადოების ანტინიკოტინურმა ლაბორატორიამ გახსნა № 1 ქიმიური ცეცხლსაქრობების ხელ-ახლა დასატენი და სარემონტო საამქრო. მისამართი: კომინტერნის ქ. № 5, მე-2 სართული, ტელეფონი № 3-83-09.

ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭო


## ჩვენი ქვეყნის უძველესი ნავთსადენი

ნახევარი საუკუნის წინათ ხაშურის რაიონში დაიწყო რუსეთში პირველი და იმ დროისათვის უდიდესი ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მშენებლობა. მას შემდეგ ამ ნავთსადენით ბაქოდან ბათუმის ნავსადგურში გადატუმბულია ათობით მილიონი ტონა ნავთი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნავთსადენი მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული. გაუქმებულია ბევრი საშუალედო სადგური, გადიდებულია ნავთსადენის გამტარუნარიანობა. ხუთწლიანი გეგმით დასახულია ამ ნავთსადენის რეკონსტრუქცია და ახალი, უფრო მძლავრი ნავთსადენის აგება. შეიცვლება ნავთის გადატუმბვის წესი: ორთქლის შეცვლის ელექტრონი.

ნავთსადენს ენერგიას მისცემს მინგეჩაურის მძლავრი ჰიდროკვანძი, რომელიც ახლა შენდება.



**ქალაქი მახარაძე.** ქალაქის ბაღის შესავალი ბერიას ქუჩიდან.

ფოტო რ. აკოფოვისა

## რაიონული თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება

7-დან 17 ივნისამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად ჩაატარებს საქართველოს პერიფერიული თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებას ამ თეატრების იდეურ-მხატვრული ხარისხიანობის შემოწმების მიზნით. დამთვალიერებელ კომისიაში არიან: გ. ბუხნიკაშვილი (თავმჯდომარე), ბ. ქლენტი, დ. ბენაშვილი, ა. თაყაიშვილი და შ. კილოსანიძე.

დათვალიერების დროს თეატრები უჩვენებენ კომისიას მიმდინარე სეზონში განხორციელებულ თანამედროვე შინაარსის სამ ახალ დადგმას. დათვალიერება ჩატარდება შემდეგ ვადებში: სოხუმის თეატრის 7-16 ივნისამდე, ფოთის—7-11-მდე, ბათუმის—12-16-მდე, მახარაძის—7-11-მდე, ლანჩხუთის—12-16-მდე, ცხაკაიას — 7-11-მდე. ზუგდიდის—12-16-მდე, ჭიათურის — 7-11-მდე, ზესტაფონის — 12-16მდე, გორის—7-11-მდე, ხაშურის—12-16-მდე, სტალინირის—7-16-მდე, თელავის —7-11-მდე და ლაგოდეხის—12-16 ივნისამდე.

დათვალიერების შედეგები შეჯამებული იქნება ივნისის ბოლოს.

## ფეხბურთი

31 მაისს კუიბიშევში შესდგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1947 წლის პირველობის გათამაშების მეექვსე კალენდარული დღის მატჩი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და მოსკოვის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

მატჩი დამთავრდა „ტორპედოელთა" გამარჯვებით ანგარიშით — 2 : 0.

საინტერესოდ ჩატარდა ლენინგრადის „ზენიტისა" და მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" გუნდების შეხვედრა, რომელიც შესდგა ლენინგრადში 2 ივნისს. ლენინგრადელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 3 : 2.

გუშინ მოსკოვში „სტალინეცის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა ჩატარდა სპარტაკელთა აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით, ანგარიშით — 6 : 0. ამრიგად, მოსკოვის „სპარტაკის" გუნდმა 12 შესაძლებელიდან მოაგროვა 9 ქულა.

მესამე ადგილზე მიდის თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდი. მათ მოაგროვეს 7 ქულა.

* * *

გრძელდება შეჯიბრება სსრ კავშირის 1947 წლის პირველობაზე „ბ" ჯგუფის გუნდებს შორის.

ამიერკავკასიის ზონის გუნდებს შორის მეოთხე კალენდარული დღის შემდეგ დაწინაურდნენ თბილისის „ლოკომოტივისა" და ერევნის „დინამოს" გუნდები. თბილისელებმა მესამე და მეოთხე წრის კალენდარულ მატჩებში დაამარცხეს ერევნის „სპარტაკის" გუნდის ფეხბურთელები (3 : 1, 7 : 2), ხოლო ერევნის „დინამოელებმა" ბაქოს „დინამოელები". ამჟამად, თბილისის „ლოკომოტივისა" და ერევნის „დინამოს" გუნდებს აქვთ 8-8 ქულა (8 შესაძლებელიდან).

* * *

1 ივნისს დაიწყო მატჩები სსრ კავშირის თასზე.

ამიერკავკასიის ზონის გუნდებს შორის პირველი წრის მატჩებში მთელ რიგ მოულოდნელობას ჰქონდა ადგილი. თბილისის „კრილია სოვეტოვის" გუნდი, რომელმაც პირველობის გათამაშებაში დაამარცხა როსტოვის „დინამოს" გუნდი, ამჟერად დამარცხდა ანგარიშით — 0 : 3.

ერევნის „სპარტაკისა" და ბაქოს „დინამოს" გუნდების შეხვედრა, რომელიც ჩატარდა ერევანში, დამთავრდა ერევნელების გამარჯვებით, ანგარიშით 2 : 0. დამარცხდა ბაქოს მეორე გუნდიც — „ნეფტიანიკი", რომელმაც წააგო შეხვედრა ერევნის „დინამოსთან" ანგარიშით — 2 : 3.

დაძაბულად ჩატარდა შეხვედრა თბილისის „ლოკომოტივისა" და თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ისინი პირველად ერთმანეთს შეხვდნენ 1 ივნისს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამატებულ იქნა 30 წუთი, მატჩი დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

2 ივნისს აღნიშნული მატჩი განმეორებით ჩატარდა. ამჯერად შეხვედრა მოიგო „ლოკომოტივმა", ანგარიშით — 1 : 0.

ამრიგად, სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩებში ამიერკავკასიის ზონის გუნდებს შორის, რომელიც შედგება 15 და 16 ივნისს, ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო" (როსტოვი) — „სპარტაკი" (ერევანი) და „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ერევანი).

ფინალური შეხვედრა ჩატარდება 22 ივნისს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

### თეატრებში

**4 ივნისს:** **ფალიაშვილის სახელობის** — „ევგენი ონეგინი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ლალი"; **გრიბოედოვის სახელობის**—„სტალინგრადიდან დაშორებით"; **მუსიკალური კომედიის** —„მარიცა"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** —„ლამპარი"; **ფილარმონიის საზაფხულო დარბაზი** — „11 უცნობი".

### კინოებში

**4 ივნისს:** **რუსთაველის სახელობის** — „ნასრედინის თავგადასავალი" (მე-2 სერია); **„ოქტომბერი"** — „მისი მსახური და"; **„ამირანი"** — „ბაღდადელი ქურდი"; **„კომკავშირელი"** (საზაფხულო) — „შუამარბი"; (ზამთრის)—„ოთხთა გული"; **„სპარტაკი"** — „ვალერი ჩკალოვი".


საქართველოს სსრ ლიტფონდის ბუკინისტური წიგნის მაღაზია (თბილისი, პუშკინის ქ. № 11) იძენს მოქალაქეებისაგან მხატვრულ ლიტერატურას ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. იქვე იყიდება ბუკინისტური წიგნები. ფასები ხელმისაწვდომია.

მოქალაქე **ირადიონ სიკოს-ძე ხახანაშვილმა**, მცხოვრებმა შაუმიანის ქ. № 63, აღძრა საქმე დუშეთის ქ. № 15 მცხოვრებ მოქალაქე **არევიკ თუმანის ასულ საგატელოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.


მიხეილ, ბაბუცა და ოტო პაჭკორიები იუწყებიან შალვა ივანეს-ძე ბოლქვაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში.

მეუღლე ივანე ალექსის-ძე ლამბაშიძე, შვილები ნაზიბროლა, ჯემალ იუწყებიან ხონია ალექსის ასულ ლამბაშიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VI, 7 ს. გამოსვენება 5-VI, 5 ს. ტრამვაის, 6.

ამხანაგები: მანია, შავგულიძე, გურგენიძე, ცომაია, მალანია, ჯორბენაძე, გაბელია, კორსანთია, რატნერი, მაცუკაშვილი, კორმელაშვილი, ცაგურია, ავატკოვი, თავდიშვილი, გოჩიაშვილი იუწყებიან ა. ანთაძის დის ნინო ვარდენის ასულ იაშვილის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00180